

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ჩახუნაშვილი

მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტის რეკონსტრუქცია ბიოლოგიური
სამგანზომილებიანი მემბრანების გამოყენებით



დისერტაცია

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

თბილისი

2021

სადისერტაციო ნამუშევარი შესრულებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრე-კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ლაბორატორიაში.

კვლევა დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (გრანტის ნომერი: PHDF-18-2192)

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ კაკაბაძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნოდარ ლომიძე

კონსულტანტი:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლიანა კიკალიშვილი

ექსპერტები:

რიმა ბერიაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანანა გიორგობიანი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რუსუდან ქარსელაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის განხილვა შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის მორფოლოგიურ მეცნიერებათა მიმართულების, კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის, ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის და საქართველოს პედიატრთა აკადემიის გაერთიანებულ სხდომაზე.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შესაძლებელია სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. #29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის 18 მაისს.

Tbilisi State Medical University

Davit Chakhunashvili

Reconstruction of anterolateral abdominal wall defect with the use of biological three-dimensional membranes

Thesis of Scientific Study for the Academic PhD Degree

In Medicine

Tbilisi

2021

The scientific study was completed at the department of experimental and pre-clinical anatomy at Tbilisi State Medical University.

Research was funded by Shota Rustaveli National Science Foundation (PHDF-18-2192)

Scientific Tutors of Research:

Prof. Zurab Kakabadze, PhD, MD

Prof. Nodar Lomidze, PhD, MD

Experts:

Rima Beriashvili – Professor, MD, PhD

Manana Giorgobiani – Professor, MD, PhD

Rusudan Karseladze – Professor, MD, PhD

The scientific data was approved at the joint meeting of department of Experimental and Pre-clinical Anatomy at TSMU, Topographic Anatomy Department at TSMU and Georgian Medical Association.

The scientific study is available at the library of Tbilisi State Medical University (Vazhava Ave # 29)

Defending PhD thesis will take place on 18th of May, in 2021.

სარჩევი

შემოკლებანი	8
თავი I. შესავალი	9
დაგეგმილი სამუშაოს აქტუალობა და სამეცნიერო სიახლის არგუმენტაცია	13
კვლევის მიზანი და სამუშაო ამოცანები	14
თავი II. ლიტერატურული მიმოხილვა	
16 1. მუცლის წინა გვერდითი კედელი	16
1.1. ემბრიოლოგია	16
1.2. აგებულება და ფუნქცია	16
1.3. სისხლმომარაგება	18
1.4. ინერვაცია	18
2. მუცლის ვენტრული თიაქრები	19
2.1 ეპიდემიოლოგია	20
2.2 ეტიოლოგია	21
2.3 დიაგნოსტიკა	22
2.4 დიფერენციული დიაგნოზი	22
3. მუცლის ვენტრული თიაქრების ქირურგიული მკურნალობის მეთოდები	23
3.1 ქირურგიული ბადეების სახეები, მუცლის ღრუში მათი განლაგება, უპირატესობები და გართულებები	24
3.1.1 სინთეტიკური ბადეები	25
3.1.2 ბიოლოგიური ბადეები	27

3.1.3 ბადის განთავსების არსებული მეთოდები	27
3.2 კომპონენტების სეპარაციის ტექნიკები- უპირატესობები და გართულებები	28
3.3 თანდაყოლილი დეფექტების მკურნალობა	29
4. ქსოვილთა ბიოინჟინერია	31
5. ქსოვილების დეცელულარიზაცია	32
5.1 დეცელულარიზაციის ქიმიური და ფერმენტული მეთოდები	32
5.1.1 სურფაქტანტები	33
5.1.2 მჟავები და ტუტეები	34
5.1.3 დეცელულარიზაცია ჰიპოტონური და ჰიპერტონული ხსნარებით	35
5.1.4 ქიმიური დეცელულარიზაცია ფერმენტების დახმარებით	35
5.2 დეცელულარიზაციის ფიზიკური მეთოდები	36
5.2.1 გაყინვა-გაღობის მეთოდი	36
5.2.2 მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის გამოყენების მეთოდი	36
5.2.3 სუპერკრიტიკული CO ₂ -ის გამოყენების მეთოდი	37
5.3 დეცელულარიზაციის კომბინირებული მეთოდები	37
6. Cross linking მეთოდები	38
6.1 Cross linking-ის ქიმიური მეთოდები	39
6.2 Cross linking-ის ფიზიკური მეთოდები	40
6.3 Cross linking-ის ბიოლოგიური (ფერმენტული) მეთოდები	40

7. ამნიონური მემბრანა	41
8. დასკვნა	41
თავი III. მასალა და მეთოდები	43
თავი IV. კვლევის შედეგები და განხილვა	60
თავი V. დასკვნები და რეკომენდაციები	87
თავი VI. გამოყენებული ლიტერატურა	89
თავი VII. დისერტაციის თეზისი (ინგლისურ ენაზე)	115

შემოკლებანი

EHS - ევროპის თიაქრის საზოგადოება

AFP - ალფა-ფეტოპროტეინი

ABS - Amniotic Band Syndrome

PTFE – პოლიტეტრაფლუროეთილენი

ADM - კანის უუჯრედო მატრიქსი

PP - პოლიპროპილენი

CST - კომპონენტების სეპარაციის ტექნიკები

MICS - მინიმალურ ინვაზიური კომპონენტების სეპარაციის მეთოდი

TAR - განივი კუნთის გამოყოფის მეთოდი

PLGA – Poly-lactic-co-glycolic acid

ECM - ექსტრაუჯრედული მატრიქსების

SDS - ნატრიუმის დოდეცილ სულფატი

PBS - ფოსფატის ბუფერული მარილხსნარი

SD - ნატრიუმის დეოქსიქოლატი

CHAPS – 3-[(3-ქოლამიდოპროპილ) დიმეთილამონიო]-1-პროპანესულფონატი

EDTA - ეთილენდიამინტეტრაცეტის მჟავა

GTA - გლუტარალდეჰიდი

HMDI - ჰექსამეთილენის დიზოციანატი

EDC - 1-ეთილ-3-3-დიმეთილამინოპროპილ კარბოდიმიდი

თავი I

შესავალი

ქირურგიული დარგის მნიშვნელოვანი წინსვლის მიუხედავად, მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების რეკონსტრუქცია ქირურგებისთვის დღესაც დიდ გამოწვევად რჩება. აღინიშნება კომპლექსური დეფექტების ავადობის მზარდი ტენდენცია, რომელიც ქმნის გართულებების და რელაპაროტომიების მანკიერ წრეს. სიცოცხლის მანძილზე მოსახლეობის 1/4-ს უვითარდება ვენტრული თიაქარი, ან იბადება მუცლის თანდაყოლილი დეფექტით. მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 20 მილიონი მუცლის დეფექტის რეკონსტრუქცია ხდება. იმის გათვალისწინებით რომ მხოლოდ ამერიკაში ყოველწლიურად 4 მილიონი ლაპაროტომია ტარდება, ნამდვილად აღსანიშნავია კომპლექსური დეფექტების ავადობის მზარდი ტენდენცია. ვენტრული თიაქრის მქონე პაციენტებს ხშირად აღენიშნებათ სოციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ქმედითუნარიანობის დაქვეითება. აღსანიშნავია, რომ ლაპაროტომიების 11-50% კვლავ რთულდება მუცლის კედლის თიაქრებით.

მუცლის წინა გვერდითი კედლის მიდამოში არსებული დეფექტები (თიაქრები) შესაძლოა იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი. შეძენილი დეფექტები ვითარდება მუცლის წინა გვერდითი კედლის სუსტ წერტილებში და შესაძლოა გამოიწვიონ ისეთი გართულებები, როგორც არის ტკვილი, ნაწლავთა ობსტრუქცია და სტრანგულაცია. შეძენილი დეფექტებიდან აღსანიშნავია ვენტრული თიაქრები, რომლებიც ევროპის თიაქრის საზოგადოების კლასიფიკაციის მიხედვით, იყოფა პირველად (ეპიგასტრულ, ლუმბალურ, სპიგელის, ჭიპის) და განაკვეთის შედეგად განვითარებულ (ბოქვენის ზედა, ნეკნქვეშა, თემოს და ა.შ) თიაქრებად. ეპიგასტრული თიაქრები ძირითადად ვითარდება თეთრი ხაზის მიდამოში, ჭიპის ზემოთ. რაც

შეეხება შექმნილ ჭიპის თიაქრებს, პედიატრიულ ასაკთან შედარებით, ისინი მოზრდილებში უფრო დიდი ავადობის მაჩვენებლით გამოირჩევიან. სპიგელის თიაქრები ვითარდება სპიგელის ხაზზე, რკალოვანი ხაზის ზემოთ. განაკვეთის შედეგად განვითარებული თიაქრები შესაძლოა განვითარდეს პოსტოპერაციულ პერიოდში. თუ ასეთი თიაქრების ქირურგიული მკურნალობა დროულად არ მოხდა, არის დიდი რისკი ნაწლავთა ჩაჭედვის და მუცლის კედლის მთლიანობის დარღვევის. მუცლის წინა გვერდითი კედლის თანდაყოლილ დეფექტებს შორის აღსანიშნავია მუცლის კედლის ორი ყველაზე ხშირი თანდაყოლილი ანომალია - გასტროშიზისი და ომფალოცელე. გასტროშიზისი არის ჭიპის მარჯვნივ განვითარებული თიაქარი, რომლის დროსაც მუცლის ღრუს ორგანოები ევენტრირებულია და არ გააჩნია მფარავი მემბრანა, რაც შესაძლოა ბავშვისათვის ფატალურად დასრულდეს. ომფალოცელე კი - ნაწლავთა მალროტაციის შედეგად განვითარებული ჭიპიდან გამომავალი თიაქარი, როდესაც მუცლის ღრუს ევენტრირებული ორგანოები მოთავსებულია სპეციალურ მემბრანაში. გასტროშიზისის ავადობა 4000-6000 ახალშობილზე 1 შემთხვევას შეადგენს, ხოლო ომფალოცელეს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 10,000 ახალშობილზე 1,5-დან 3-მდეა. გასტროშიზისის სიკვდილიანობა 16,7%-ს შეადგენს, ხოლო ომფალოცელეს სიკვდილიანობა 10%-იდან 80%-მდე მერყეობს.

არსებობს მუცლის კედლის პლასტიკის როგორც ღია, ასევე ლაპაროსკოპიული მეთოდი; ბადეების გამოყენებით, ან მის გარეშე. ვენტრული თიაქრების პირველადი ღია წესით რეკონსტრუქციის დროს, როდესაც მხოლოდ კუნთების კალთების ერთმანეთზე მიკერება ხდება (ბადის გარეშე), განვითარებული თიაქრების რეციდივი 50%-ს აღწევს. დეფექტების რეკონსტრუქციის ლაპაროსკოპიული წესით მკურნალობის გამოჩენისთანავე (1993 წ.), ქირურგები ხშირად იყენებდნენ ამ ნაკლებად ინვაზიურ მეთოდს. თუმცა, გრძელვადიანი მონაცემების მიხედვით, თიაქრების რეკონსტრუქციის ლაპაროსკოპიული წესით მკურნალობის შემდეგ რეციდივის მაჩვენებელი მაინც აღწევს 18%-ს. მუცლის კედელზე ჩატარებული

ოპერაციების ვრცელმა ისტორიამ, წარსულში მოთავსებულმა ბადემ და თიაქრების სხვადასხვა თავისებურებებმა შესაძლოა შეზღუდოს ლაპაროსკოპიული მეთოდის გამოყენება. მუცლის წინა გვერდითი კედლის მკურნალობის ყველაზე ხშირი გართულების - თიაქრის რეციდივის სიხშირე დამოკიდებულია თიაქრის ზომაზე, განვითარების დროზე, გაზრდილ ინტრა-აბდომინალურ წნევაზე. ლიტერატურის მიხედვით, პლასტიკის შემდეგ განვითარებული ვენტრული თიაქრების რეციდივის სიხშირე შესაძლოა 53%-ს აღწევდეს.

1990 წელს Ramirez-ის მიერ აღწერილი და გამოქვეყნებული წინა კომპონენტების სეპარაციის მეთოდი დღესაც არ კარგავს აქტუალობას, მათ შორის ომფალოცელეს და გასტროშიზისის მკურნალობის დროსაც. თუმცა ოპერაციის შემდეგ შესაძლოა განვითარდეს კანის ნეკროზი, სწორი კუნთების დიასტაზი, ინფექცია, ჰემატომა, სერომა, გარეთა ირიბი კუნთის ლატერალიზაცია და თიაქრის რეციდივი. Novitsky et al-ის მიერ აღწერილია უკანა კომპონენტების სეპარაციის ერთ-ერთი პოპულარული ტექნიკა (TAR technique), რომლის დროსაც ხდება განივი კუნთის გამოყოფა, რასაც მოსდევს განივ კუნთსა და მის ფასციას შორის სივრცის გამოთავისუფლება. თიაქრების რეციდივის და კანის იშემიის დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად უკანა კომპონენტების სეპარაციის დროს შესაძლოა დაზიანდეს ნეკნთაშუა ნერვული წნულები, განვითარდეს ადრომია, განვითარდეს ინფექცია. აღწერილია პერფორატორების დამზოგველი კომპონენტების სეპარაციის მეთოდებიც, რომელთა გამოყენების შემდეგ თიაქრის რეციდივის, კანის კიდეების გადახსნის, ჭრილობის მხრივ გართულებების არც თუ ისე დაბალი შანსია.

ქირურგები ომფალოცელეს და გასტროშიზისის მკურნალობისას ირჩევენ პირველად რადიკალურ ოპერაციულ მიდგომას თუ დეფექტის ზომა არის პატარა და არ არის ვისცერო-აბდომინალური დისპროპორციის საშიშროება, ხოლო სხვა შემთხვევაში გამოიყენება მოგვიანებითი რეკონსტრუქცია (staged closure). პირველადი რადიკალური ოპერაციული მიდგომების დროს შესაძლოა განვითარდეს

რესპირატორული და ჰემოდინამიკური გართულებები, რომელიც არის ქვემო ღრუ ვენაზე კომპრესიის, ნაწლავების იშემიის, ღვიძლის და თირკმლის მწვავე უკმარისობის შედეგი. Allen-ისა და Wrenn-ის მიერ მოწოდებული ტექნიკა, რომელიც ასევე გამოიყენება მკურნალობის მიზნით, მოიცავს მუცლის ღრუს ევენტრირებული შიგთავსის სილოს ტომარაში მოთავსებას, რათა ევენტრირებული ორგანოები მუცლის ღრუში ჩაბრუნდეს. თუმცა ეს მეთოდი შესაძლოა გართულდეს ინფექციის განვითარებით, ნაწლავების შემოგრეხვით და ვენური შეგუბებით, ჭრილობის ზომის გაფართოებით და მისი პრობლემატური დახურვით. ომფალოცელეს მკურნალობის დროს ასევე გამოიყენება სხვადასხვა ტოპიკური საშუალებები, რომლებიც ასევე ასოცირდება გარკვეულ გართულებებთან.

დღევანდელ დღეს დეფექტების რეკონსტრუქციაში აქტიურად გამოიყენება სინთეტიკური (პოლიპროპილენი (PP), პოლიესტერი და polytetrafluoroethylene) და ბიოლოგიური ბადეები. გაწოვადი სინთეტიკური ბადეების პოპულარობის მიუხედავად, მათი გამოყენების შედეგად ვითარდება ისეთი გართულებები, როგორც არის ბადის შეკუმშვა, მძიმე წონა, ადჰეზიები, სერომის ფორმირება, ინფექციები, ქრონიკული ანთებითი პროცესები, ფიბროზები, ტკივილი და შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები. გაწოვადი ბადეების მთავარ უპირატესობას უცხო სხეულზე რეაქციის და ინფექციის განვითარების ნაკლები რისკი წარმოადგენს; თუმცა, ეს ბადეები შედარებით მყიფეა, გააჩნიათ რეციდივის მაღალი რისკი, რის გამოც პაციენტებს დამატებითი ქირურგიული ჩარევები ესაჭიროებათ. სინთეტიკურ ბადეებთან შედარებით, მათ გააჩნიათ მეზოთელური უჯრედების დეპონირების, ფიბრობლასტების პროლიფერაციის, ნეოვასკულარიზაციის უკეთესი უნარი, გამოყენებისას ფისტულებს და ადჰეზიების განვითარების შანსი ნაკლებია. მიუხედავად სახარბიელო შედეგებისა, ბიოლოგიური ბადეების გამოყენება მაინც არის დაკავშირებული გარკვეულ გართულებებთან (ინფექცია, სერომა, მექანიკური სისუსტე, ევისცერაცია). ამ ბადეების განთავსების საუკეთესო ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი და დღესაც

ქირურგების დავის საგანს წარმოადგენს. გართულებების რისკი განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის ბადე განთავსებული (Onlay, inlay, sublay, თუ underlay პოზიციაში).

დეცელულარიზებული პლაცენტის მემბრანა მეცნიერთა დიდ ინტერესს საგანს წარმოადგენს, რაზეც მიგვითითებს ის ფაქტი, რომ მისი გამოყენებით დღემდე ცდილობენ უამრავი დაავადების, დეფექტების მკურნალობას და სხვადასხვა ქსოვილების აღდგენას. ლიტერატურაში აღწერილ იქნა მათი გამოყენება ჭრილობების შეხორცების, დამწვრობის მკურნალობის, პერიკარდიუმის აღდგენის, სხვადასხვა უჯრედების პროლიფერაციის ინდუცირების, ფისტულებისა და ღრძილის დეფექტების მკურნალობის მიზნით. ორი ყველაზე დიდი უპირატესობა, რაც გააჩნია დეცელულარიზებულ პლაცენტის მემბრანას არის ის, რომ მას აქვს უნიკალური ექსტრაუჯრედული მატრიქსი, რაც ხელს უწყობს ქსოვილთა სწრაფ შეხორცებას და რეგენერაციას. ასევე, აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ მისი მოპოვება სხვა ბიოლოგიურ მასალებთან შედარებით ადვილია, რადგანაც პლაცენტის უტილიზება მსოფლიოს მასშტაბით არცერთ ქვეყანაში არ ხდება.

დაგეგმილი სამუშაოს აქტუალობა და სამეცნიერო სიახლის არგუმენტაცია: ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, დღესდღეისობით მთავარი პრობლემა არის ის, რომ მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების დროს არსებული ჭრილობის დახურვა, მიუხედავად სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისა, მაინც შეიცავს მრავალ გართულების რისკ ფაქტორს და თიაქრების რეციდივის მაღალი პროცენტული მაჩვენებლის არსებობას. ამიტომაც საჭიროა, მუცლის კედლის დიდი ზომის დეფექტების დასახურად ახალი, სწრაფი და მარტივი მეთოდის შემუშავება, რომელსაც ექნება უფრო ნაკლები გართულება და მაღალი წარმატების ალბათობა.

ახალი ბიოლოგიური ბადეების (სამგანზომილებიანი მემრანის) დახმარებით, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შევქმნათ დეფექტების რეკონსტრუქციის ახალი და ეფექტური მეთოდი.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანი არის შეიქმნას მუცლის კედლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების რეკონსტრუქციის ეფექტური მეთოდი ბიოლოგიური ბადის საშუალებით, რომელიც შეამცირებს რეკონსტრუქციის შედეგად არსებულ გართულებებს, გაზრდის მუცლის ღრუს მოცულობას და გაადვილებს მუცლის ღრუს დახურვას.

სამუშაო ამოცანები:

1. ექსპერიმენტში ადამიანის ამნიონის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული სამგანზომილებიანი მემბრანის შექმნა.
2. ექსპერიმენტში ადამიანის ამნიონის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული სამგანზომილებიანი მემბრანის დაფარვა ქიმიური Cross Linking ტექნიკით მიღებული ჟელატინის ჰიდროგელით
3. ვირთაგვას, ღორის და ადამიანის მუცლის წინა გვერდითი კედლის ანატომიური კვლევა.
4. მუცლის ვენტრული თიაქრის დეფექტის მოდელირება ექსპერიმენტულ ცხოველებში.
5. ექსპერიმენტში მუცლის წინა გვერდითი კედლის რეკონსტრუქცია ULTRAPRO™ და ღორის პერიკარდიუმისგან მიღებული ბიოლოგიური XI-S+® (Colorado Therapeutics Denver, USA) ბადის საშუალებით.
6. ექსპერიმენტში მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტის რეკონსტრუქცია ჰიდროგელით დაფარული ადამიანის ამნიონის დეცელულარიზირებული და ლიოფილიზებული სამგანზომილებიანი მემბრანის გამოყენებით
7. ლაბორატორიული, მორფოლოგიური, მიკროსკოპული კვლევების გამოყენებით ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდების ეფექტურობის შეფასება.

8. კლინიკაში ჰიდროგელით დაფარული ადამიანის ამნიონის დეცელულარიზებული სამგანზომილებიანი მემბრანის გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება.

პუბლიკაციები:

1. Chakhunashvili DG, Lomidze N, Karalashvili L, Kikalishvili L, Chakhunashvili K, Kakabadze Z. CHALLENGES AND MANAGEMENT OF CONGENITAL ABDOMINAL WALL DEFECTS (REVIEW). Georgian Med News. 2018 Mar;(276):24-33
2. Chakhunashvili DG, Kakabadze A, Karalashvili L, Lomidze N, Kandashvili T, Paresishvili T. Reconstruction of the abdominal wall defects using gelatin-coated decellularized and lyophilized human amniotic membrane. Georgian Med News. 2021 Feb;
3. Kakabadze Z, Janelidze M, Chakhunashvili D, Kandashvili T, Paresishvili T, Chakhunashvili D.G. Evaluation of novel porcine pericardial biomaterial for ventral and inguinal hernia repair. The results of a non-randomized clinical trial. Georgian Med News. 2021 Feb;
4. Chakhunashvili K, Kiladze M, G Chakhunashvili D, Karalashvili L, Kakabadze Z. A three-dimensional scaffold from decellularized human umbilical artery for bile duct reconstruction. Ann Ital Chir. 2019; 90:165-173.

დისერტაციის მასალები მოხსენებულია ადგილოვრივ და საერთაშორისო

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე:

1. მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების რეკონსტრუქცია ჟელატინით დაფარული ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზირებული ამნიონური მემბრანის გამოყენებით. ჩახუნაშვილი დ. გ, კაკაბაძე ა, ყარალაშვილი ლ, ლომიძე ნ, ყანდაშვილი თ, ფარესიშვილი თ; (თსსუ, თბილისი). <http://sppf.info/pdf/mosacvevi-2020-1.pdf>

2. მუცლის წინა კედლის თანდაყოლილი ანომალიების გამოწვევები და მკურნალობა. მიმოხილვა. ჩახუნაშვილი დ. გ, ლომიძე ნ, ყარალაშვილი ლ, კიკალიშვილი ლ, ჩახუნაშვილი კ, კაკაბაძე ზ; (თსსუ, თბილისი). <http://sppf.info/pdf/mosacvevi-2020-2.pdf>

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

1. მუცლის წინა გვერდითი კედელი

1.1 ემბრიოლოგია

ემბრიონული დიფერენციაციის შედეგად ყალიბდება სამი ცალკეული შრე: ექტოდერმა, მეზოდერმა და ენდოდერმა. მეზოდერმა შემდგომ იყოფა ვისცერულ და სომატურ ნაწილებად. ვისცერული მეზოდერმისგან წარმოიქმნება მუცლის ღრუში არსებული ორგანოები, ხოლო სომატური მეზოდერმისგან - მუცლის წინა კედელი. გესტაციის მე-6 კვირის დასასრულს მიოტომიდან კუნთოვანი უჯრედები გადაინაცვლებენ სომატურ მეზოდერმაში, რის შედეგადაც მუცლის წინა გვერდითი კედელის და აპონევროზების ჩამოყალიბება იწყება [1].

1.2 აგებულება და ფუნქცია

მუცლის კედელი არის ადამიანის ტანის ნაწილი, რომელიც გულმკერდსა და მენჯს შორის მდებარეობს; ის შემოსაზღვრავს მუცლის ღრუს წინა გვერდით ნაწილს, სადაც ბევრი მნიშვნელოვანი ორგანო მდებარეობს [2-4]. მუცლის კედელი არა მხოლოდ იცავს ინტრა-აბდომინალურ ორგანოებს, არამედ ქმნის ინტრა-აბდომინალურ და ინტრა-თორაკალურ წნევასაც (რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ცემინების, ხველის, ღებინების, დეფეკაციისა და სიმძიმეების აწევის დროს), მონაწილეობას ღებულობს ამოსუნთქვის პროცესში და ხერხემლის სვეტს მოძრაობაში ეხმარება. მუცლის კედელს ასევე გააჩნია უნარი მოერგოს ისეთ მდგომარეობებს, როგორც არის მშობიარობა, მშობიარობისშემდგომი პერიოდი და სიმსუქნე [5, 6]. მუცლის კედლის ანატომიის ცოდნა აუცილებელი და მნიშვნელოვანია ამ მიდამოში განვითარებული სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის

[7]. მუცლის წინა გვერდითი კედელი შედგება შემდეგი თანმიმდევრობით განლაგებული შრეებისაგან: 1) კანი, 2) ზედაპირული ფასცია - კანქვეშა ქსოვილი, რომელიც ჭიპს ქვემოთ იყოფა კემპერისა (ზედაპირული ცხიმოვანი შრე) და სკარპას ფასციებად (ღრმად მდებარე შრე), 3) წინა გვერდითი და უკანა კუნთები 4), განივი ფასცია 5), პრეპერიტონიალური ცხიმოვანი და არეოლარული ქსოვილი 6) პერიტონიუმის ფურცელი. წინა გვერდითი კედლის კუნთების შემადგენლობაში შედის გარეთა ირიბი, შიგნითა ირიბი, განივი, სწორი და პირამიდული კუნთები [2, 8]. ეს კუნთები ერწყმიან და კვეთენ ერთმანეთს, ამაგრებენ მუცლის კედელს და ამცირებენ თიაქრის გაჩენის რისკს [9-11]. სწორი კუნთები შედგებიან წინა და უკანა ფურცლებისაგან, რომლებიც საბოლოოდ ერთდებიან მუცლის კუნთების აპონევროზებისგან შემდგარი თეთრი ხაზის დახმარებით [2, 12]. ამ კუნთების ინერვაციის და ვასკულარიზაციის ცოდნა პლასტიკურ ქირურგიაში ძალზედ მნიშვნელოვანია. სწორი კუნთის ლატერალურად, ორივე მხარეს მდებარეობს სპიგელის ხაზი, რომლის საშუალებითაც სწორი კუნთი მუცლის ლატერალურ კუნთებს უკავშირდება. პირამიდული კუნთები მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში შესაძლოა არ შეგვხვდეს [13]. რაც შეეხება მუცლის წინა გვერდითი კედლის უკანა კუნთებს, ისინი იქმნებიან ფსოას და წელის კვადრატული კუნთებისგან. პერიტონიუმის ფურცელი შედგება ვისცერული და პარიესული ნაწილებისგან. მათ შორის არსებული სივრცე კი ქმნის პერიტონიუმის ღრუს, რომელშიც არის დიდი რაოდენობით ექსტრაუჯრედული სითხე, რათა ორგანოებსა და შრეებს შორის ხახუნი შეამციროს [14]. განარჩევენ ინტრაპერიტონეალურ და რეტროპერიტონეალურ ორგანოებს. ინტრაპერიტონეალურ სივრცეში მდებარეობს ბევრი მნიშვნელოვანი ორგანო როგორც არის კუჭი, თორმეტგოჯა ნაწლავის ნაწილი, მლივი ნაწლავი, თემოს ნაწლავი, ღვიძლი, შარდის ბუშტი, პანკრეასის კუდი, ელენთა და განივი კოლინჯი. მუცლის ღრუს უკანა კედლის მიდამოს ეწოდება რეტროპერიტონეალური სივრცე [15], სადაც მდებარეობს თირკმელზედა ჯირკვლები, აორტა და ქვედა ღრუ ვენა, თორმეტგოჯა ნაწლავის უმეტესი ნაწილი, პაკრეასის თავი და სხეული,

შარდსაწვეთები, აღმავალი და დაღმავალი კოლინჯი, თირკმლები, საყლაპავის ნაწილი და სწორი ნაწლავი [16].

1.3 სისხლმომარაგება

მუცლის წინა გვერდითი კედლის არტერიული სისხლმომარაგება დამოკიდებულია: თემოს ღრმა და ზედაპირულ შემომხვევ, წელის, ზედა და ქვედა ეპიგასტრულ არტერიებზე. ასევე, ქვედა ნეკნთაშუა არტერიებიც მონაწილეობენ მუცლის სწორი კუნთის და სპიგელის ხაზის სისხლით მომარაგებაში [17, 18]. ზედაპირული ეპიგასტრული არტერია, რომელიც მდებარეობს კანქვეშ და ჭიპისკენ მიემართება, სისხლით ამარაგებს მუცლის კედლის ზედაპირულ ქსოვილებს ჭიპის ქვედა და ბოქვენის მიდამოებში [5, 19]. ვენური სისხლმომარაგება ჭიპის ზემოთ დამოკიდებულია მკერდის შიდა, ნეკნთაშუა და მკერდის გრძელ ვენებზე; ჭიპის ქვემოთ კი - ზედაპირულ ეპიგასტრულ, თემოს შემომხვევ და სასქესო ვენებზე. ზედაპირული და ღრმა ეპიგასტრული სისხლძაღვების განლაგების ცოდნა ძალზედ მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც რეკონსტრუქციულ ქირურგიაში მოღვაწეობს [20].

1.4 ინერვაცია

მუცლის წინა გვერდითი კედლის კანისა და კუნთების ინერვაცია ხორციელდება თორაკობდომინალური (T7-T11), ნეკნქვეშა (T12), ილიოჰიპოგასტრული (L1) და ილიოინგუინალური ნერვების (L1) წინა და ლატერალური კანის ტოტების საშუალებით [21]. ნეკნქვეშა ნერვი, ასევე, მონაწილეობას ღებულობს პირამიდული კუნთის ინერვაციაში [22]. მნიშვნელოვანია მუცლის კედლის ნერვების დაზიანების თავიდან აცილება ქირურგიული ოპერაციების დროს, რადგანაც შესაძლოა განვითარდეს მუცლის კედლის სისუსტე და ფუნქციური მოშლილობა [23-25].

2. მუცლის ვენტრული თიაქრები

მუცლის წინა გვერდითი კედლის მიდამოში არსებული დეფექტები (თიაქრები), რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პაციენტის ცხოვრების ხარისხზე, შესაძლოა იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი [26]. შეძენილი დეფექტები ვითარდება მუცლის წინა გვერდითი კედლის სუსტ წერტილებში და შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი გართულებები, როგორც არის ტკივილი, ნაწლავთა ობსტრუქცია და სტრანგულაცია. შეძენილი დეფექტებიდან აღსანიშნავია ვენტრული თიაქრები, რომელთა გამოც შესაძლოა მოხდეს პაციენტის ჰოსპიტალიზაცია და ზოგიერთ შემთხვევაში, მათი გარდაცვალებაც [27-29]. ვენტრული თიაქრების მქონე პაციენტებს ექმნებათ ფსიქოლოგიური პრობლემები და აღნიშნავენ დაქვეითებულ ფიზიკურ/სოციალურ ქმედითუნარიანობას, არიან სექსუალურად ნაკლებად აქტიურები და ხშირად განიცდიან ტკივილის ეპიზოდებს [30]. ევროპის თიაქრის საზოგადოების კლასიფიკაციის მიხედვით, ვენტრული თიაქრები იყოფა პირველად (ეპიგასტრულ, ლუმბალურ, სპიგელის, ჭიპის) და განაკვეთის შედეგად განვითარებულ (ბოქვენის ზედა, ნეკნქვეშა, თეძოს და ა.შ) თიაქრებად [31]. ეპიგასტრული თიაქრები ძირითადად ვითარდება თეთრი ხაზის მიდამოში, ჭიპის ზემოთ. რაც შეეხება შეძენილ ჭიპის თიაქრებს, პედიატრიულ ასაკთან შედარებით, ისინი მოზრდილებში უფრო დიდი ავადობის მაჩვენებლით გამოირჩევიან. სპიგელის თიაქრები ვითარდება სპიგელის ხაზზე, რკალოვანი ხაზის ზემოთ [32]. სპიგელის ხაზი არის მუცლის წინა გვერდითი კედლის ერთ-ერთი სუსტი მონაკვეთი. ამ მიდამოში განვითარებული თიაქარი შესაძლოა ხშირად გართულდეს მისი ჩაჭედვით [33, 34]. მუცლის წინა კედელზე განვითარებული თიაქრების 1-2%-ს სწორედ სპიგელის თიაქრები შეადგენენ [32]. განაკვეთის შედეგად განვითარებული თიაქრები შესაძლოა განვითარდეს პოსტოპერაციულ პერიოდში. თუ ასეთი თიაქრების ქირურგიული მკურნალობა დროულად არ მოხდა, არის დიდი რისკი ნაწლავთა ჩაჭედვის და მუცლის კედლის მთლიანობის დარღვევისა [35].

თანდაყოლილი დეფექტები შესაძლოა გამოვლინდეს ახალშობილის მუცლის წინა კედელზე არსებული სუსტი წერტილებისა და ემბრიოლოგიური მალფორმაციების გამო [23]. ომფალოცელე და გასტროშიზისი მუცლის წინა კედლის ყველაზე ხშირ თანდაყოლილ დეფექტებს წარმოადგენენ. გასტროშიზისი არის ჭიპის მარჯვნივ განვითარებული თიაქარი, რომლის დროსაც მუცლის ღრუს ორგანოები ევენტრირებულია და არ გააჩნია მფარავი მემბრანა, რაც შესაძლოა ბავშვისათვის ფატალურად დასრულდეს [36, 37]. იშვიათ შემთხვევებში ჭიპის მიდამოში განვითარებული თიაქრები ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებენ [38]. ჩატარებული კვლევების მიხედვით, კომპლექსური გასტროშიზისის სიკვდილიანობა 16,7%-ს შეადგენს [37]. ომფალოცელე არის ნაწლავთა მალროტაციის შედეგად განვითარებული ჭიპიდან გამომავალი თიაქარი, როდესაც მუცლის ღრუს ევენტრირებული ორგანოები მოთავსებულია სპეციალურ მემბრანაში [39-41]. ამ მემბრანის გარეთა შრეს ქმნის ამნიონი, ხოლო შიგნითას პერიტონიუმი; ხოლო მათ შორის მოთავსებულია ვარტონის ჟელე [42, 43]. ევენტრირებულ შიგთავსს შესაძლოა წარმოადგენდეს წვრილი და მსხვილი ნაწლავები, კუჭი, შარდის ბუშტი, ღვიძლი, ელენთა და სასქესო ჯირკვლები [44, 45]. ის შეიძლება შეგვხვდეს სხვა თანდაყოლილ განვითარების მანკთან ერთად და ქირურგიული ჩარევის გარეშე ფატალურად დასრულდეს [46]. ომფალოცელეს ლეტალობის მაჩვენებელი თანმხლები ანომალიების შემთხვევაში 61%-ია, ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში - 15,5-20% [47-49]. გიგანტური ომფალოცელეს შემთხვევაში სიკვდილიანობა 10-46%-ს აღწევს, ხოლო თანმხლები ანომალიების შემთხვევაში - 80%-ს [50-52].

2.1 ეპიდემიოლოგია

სიცოცხლის მანძილზე მოსახლეობის 1/4-ს უვითარდება ვენტრული თიაქარი, ან იბადება მუცლის თანდაყოლილი დეფექტით [53]. იმის გათვალისწინებით რომ მხოლოდ ამერიკაში ყოველწლიურად 4 მილიონი ლაპაროტომია ტარდება, ნამდვილად აღსანიშნია კომპლექსური დეფექტების ავადობის მზარდი ტენდენცია

[54, 55]. მსოფლიოში 20 მილიონზე მეტი თიაქრის რეკონსტრუქცია სრულდება ყოველ წელს [56]. აქედან, დაახლოებით 700.000 ოპერაცია კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ტარდება [57]. მიუხედავად ქირურგიის დარგის განვითარებისა, ლაპაროტომიების 11-50% კვლავ მუცლის კედლის თიაქრებით რთულდება [58-63].

გასტრომიზისის ავადობა 4000-6000 ახალშობილზე 1 შემთხვევას შეადგენს, ხოლო ომფალოცელეს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 10,000 ახალშობილზე 1,5-დან 3-მდეა [64-67]. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გასტრომიზისის ინციდენტობა ყოველწლიურად მატულობს [68]. ახალგაზრდა დედებში დაფიქსირებული იყო ავადობის უფრო მაღალი სიხშირე, მაგრამ უახლესი ეპიდემიოლოგიური დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა რომ, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სტატისტიკური მაჩვენებლები შეიცვალა [69-72]. ნაადრევად ნაშობიარებ ბავშვებში გასტრომიზისი უფრო ხშირია (შემთხვევების 28%-ით დროული ახალშობილების 6%-თან შედარებით) [73].

2.2 ეტიოლოგია

შემენილი დეფექტების (თიაქრების) ხშირი გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია წინა პერიოდში ჩატარებული ლაპაროტომია, ტრავმა და სხვადასხვა მიზეზებით განპირობებული მუდმივი ზეწოლა მუცლის წინა გვერდითი კედლის სუსტ წერტილებზე. წონის ხშირი მატება და კლება, რომელიც ასუსტებს მუცლის კედელს, შესაძლოა ასევე გახდეს თიაქრის ჩამოყალიბების წინაპირობა [74]. ომფალოცელეს და გასტრომიზისის განვითარებას უკავშირებენ მუცლის წინა გვერდითი კედლის სუსტ წერტილებს და ემბრიოლოგიურ მალფორმაციებს, თუმცა ზუსტი ეტიოლოგია ბოლომდე შესწავლილი არ არის. გასტრომიზისის ჩამოყალიბებას შესაძლოა ხელი შეუწყოს დედის ინფექციებმა, თამბაქომ, ნიტროზამინებთან კონტაქტმა, ციკლოოქსიგენაზას ინჰიბიტორების (ასპირინი, იბუპროფენი) და დეკონგესანტების მოხმარებამ [75-80].

2.3 დიაგნოსტიკა

ვენტრული დეფექტების დიაგნოსტიკა უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია პაციენტის ანამნეზსა და ფიზიკალურ გასინჯვაზე; ულტრასონოგრაფიული კვლევა, კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც დიაგნოსტიკის დამხმარე საშუალებები [81]. გასტროშიზისის დროს დედის სისხლში ალფა-ფეტოპროტეინის (AFP) დონე შესაძლებელია იყოს მომატებული [82]. ომფალოცელეს დროსაც, ასევე შესაძლოა იყოს ალფა-ფეტოპროტეინი მომატებული, მაგრამ გასტროშიზისთან შედარებით, უფრო იშვიათ შემთხვევაში. ორივე ანომალიის დიაგნოსტიკა შესაძლებელია პრენატალურ პერიოდში ულტრაბგერის საშუალებით [83]. ახალშობილობის პერიოდში სადიაგნოსტიკოდ შესაძლოა გამოვიყენოთ მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია და რენტგენოლოგიური კვლევა.

2.4 დიფერენციული დიაგნოზი

ვენტრული დეფექტების დიფერენციული დიაგნოზი უნდა გატარდეს აპენდიციტთან და მასთან დაკავშირებულ აბსცესთან, მუცლის წინა კედლის და სათესლეების სიმსივნესთან, მწვავე დივერტიკულიტთან, სწორი კუნთის სპონტანურ ჰემატომასთან, ჰიდროცელესთან, სათესლე ჯირკვლის დანამატის ანთეზსთან, ლიმფადენოპათიასთან, ძვალ-კუნთოვან დაზიანებებთან, ანევრიზმასთან და კრიპტორქიზმთან [84-86]. ომფალოცელეს დიფერენციული დიაგნოზი უნდა გატარდეს გასტროშიზისთან, ჭიპის თიაქრებთან, ნაწლავთა ფიზიოლოგიურ თიაქრებთან [87]. გასტროშიზისის დიფერენციული დიაგნოსტიკა კი - უნდა გატარდეს ომფალოცელესთან, ჭიპის თიაქართან, კანტრელის პენტადასთან, შარდის ბუშტის და კლოაკას ექსტროპიასთან, Amniotic Band Syndrome (ABS) -თან [88, 89].

3. მუცლის ვენტრული თიაქრების (დეფექტების) ქირურგიული მკურნალობის მეთოდები

მიუხედავად ქირურგიის დარგის განვითარებისა, მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების რეკონსტრუქცია დღეს ქირურგებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ვენტრული დეფექტების მკურნალობისათვის არსებობს ოპერაციული მიდგომების როგორც ღია, ასევე ლაპაროსკოპიული მეთოდი; ბადეების გამოყენებით, ან მის გარეშე. ვენტრული თიაქრების პირველადი ღია წესით რეკონსტრუქციის დროს, როდესაც მხოლოდ კუნთების კალთების ერთმანეთზე მიკერება ხდება (ბადის გარეშე), განვითარებული თიაქრების რეციდივი 50%-ს აღწევს [90, 91]. დეფექტების რეკონსტრუქციის ლაპაროსკოპიული წესით მკურნალობის გამოჩენისთანავე (1993 წ.), ქირურგები ხშირად იყენებდნენ ამ ნაკლებად ინვაზიურ მეთოდს. ღია წესთან შედარებით, ლაპაროსკოპიული მიდგომის დროს ნაკლებია ჭრილობის შედეგად განვითარებული თიაქრების (Incisional hernia) და ინფექციების რისკი; ასევე, კლინიკაში დარჩენის დრო [92]. თუმცა, გრძელვადიანი მონაცემების მიხედვით, თიაქრების რეკონსტრუქციის ლაპაროსკოპიული წესით მკურნალობის შემდეგ რეციდივის მაჩვენებელი მაინც აღწევს 18%-ს [93]. მუცლის კედელზე ჩატარებული ოპერაციების ვრცელმა ისტორიამ, წარსულში მოთავსებულმა ბადემ და თიაქრების სხვადასხვა თავისებურებამ შესაძლოა შეზღუდოს ლაპაროსკოპიული მეთოდის გამოყენება [94]. მუცლის წინა გვერდითი კედლის მკურნალობის ყველაზე ხშირი გართულების - თიაქრის რეციდივის სიხშირე დამოკიდებულია თიაქრის ზომაზე, განვითარების დროზე, გაზრდილ ინტრა-აბდომინალურ წნევაზე [95]. ლიტერატურის მიხედვით, პლასტიკის შემდეგ განვითარებული ვენტრული თიაქრების რეციდივის სიხშირე შესაძლოა 53%-ს აღწევდეს [96].

3.1 ქირურგიული ბადეების სახეები, მუცლის ღრუში მათი განლაგება, უპირატესობები და გართულებები

მიუხედავად იმისა, რომ ბადეების გამოყენების შემდეგ თიაქრების რეციდივი მკვეთრად მცირდება, ქირურგიული რეკონსტრუქციული ტექნიკების და სხვადასხვა ბადეების გამოყენება დღესაც დიდი დავის საგანია [97-103]. დეფექტების რეკონსტრუქციების დროს გამოყენებული Tension-free ტექნიკა (ბადეების მეშვეობით) დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იხვეწებოდა და დღესაც - ოპერაციული მიდგომების ოქროს სტანდარტად არის მიჩნეული, თუმცა თიაქრების ღია წესით პლასტიკის დროს ამ ბადეების გამოყენებისას რეციდივის სიხშირე მაინც 32%-ს აღწევს [91, 93, 104, 105]. რეციდივის სიხშირის გარდა, ბადეების გამოყენება დაკავშირებულია ქრონიკული ტკივილის, ბადის ეროზიების, ადჰეზიების, კალციფიკაციის, ინფექციების, სერომის განვითარებასა და ბადის სხვადასხვა ორგანოებისკენ მიგრაციასთან [106-116]. გართულებების რისკი განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ბადე არის გამოყენებული, ან სად არის ის განთავსებული. მაგალითად, თუ ბადე პირდაპირ კავშირშია მუცლის ღრუში არსებულ შიგთავსთან, იმატებს შეხორცებების, ნაწლავების ობსტრუქციის და ფისტულის განვითარების რისკები [50, 51]. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარდა მრავალი კვლევა სხვადასხვა ბადეების არქიტექტურის კლინიკურად მნიშვნელოვანი მახასიათებლის დასადგენად [117]. ბადეები განსხვავდება წარმომავლობის, ელასტიურობის, გამძლეობის, ფორმის, ფორების ზომის და სიმძიმის მიხედვით [118-122]. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, დიდი ფორების მქონე შედარებით მჩატე ბადეები უზრუნველყოფენ მასში ტიპი I კოლაგენის უკეთეს ჩაზრდას და ასევე აქვთ უნარი დროთა განმავლობაში გაზარდონ ჭიმვადობის სიძლიერე; თუმცა, ამასთანავე, გამოირჩევიან მაღალი ადჰეზიურობით [123, 124]. აღსანიშნავია ისიც, რომ მსუბუქი სიმძიმის მქონე ბადეები მალე იხევა, ხოლო პატარა ფორის მქონე ბადეები ზრდიან ფიბროზის და მკვრივი იარის ჩამოყალიბების რისკს [125].

3.1.1 სინთეტიკური ბადეები

წარმომავლობის მიხედვით, განარჩევენ სინთეტიკურ და ბიოლოგიურ ბადეებს [126, 127]. მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტის რეკონსტრუქციისათვის გამოიყენება სხვადასხვა სინთეტიკური მასალები, როგორებიც არის - პოლიპროპილენი (PP), პოლიესტერი და პოლიტეტრაფლუოროეთილენი (PTFE) [128]. გაუწოვადი ბადეების პოპულარობის მიუხედავად, მათი გამოყენების შედეგად ვითარდება ისეთი გართულებები, როგორიც არის ბადის შეკუმშვა, მძიმე წონა, ადჰეზიები, სერომის ფორმირება, ინფექციები, ქრონიკული ანთებითი პროცესები, ფიბროზები, ტკივილი და შარდვასთან დაკავშირებული პრობლემები [129-131]. PTFE და PP ბადეები ვენტრული დეფექტების მკურნალობის დროს საკმაოდ ხშირად გამოიყენება [132-133]. PTFE ბადეები შედარებით ამცირებენ ადჰეზიების ფორმირებას, თუმცა რადგანაც მცირე ზომის ფორების გამო ვერ ხერხდება მათში მაკროფაგების შეღწევა, იმპლანტაციის ადგილი მუდმივი ინფექციის წყარო ხდება [134]; ისინი ასევე დაკავშირებულნი არიან ინკაფსულაციასთან და ბადის ირგვლივი ქსოვილის სითხის შეკავებასთან [124]. არსებობს სინთეტიკური ბადეების რამოდენიმე სახეობა, რომლებიც გაწოვადი მასალებისგან (Polyglycolic acid, polylactic acid, trimethyl carbonate, poly-4-hydroxybuturate) მზადდება. უცხო სხეულზე რეაქციის და ინფექციის განვითარების ნაკლები რისკი ამ ბადეების მთავარ უპირატესობას წარმოადგენს [135]; გაწოვადი ბადეები შედარებით მყიფეა, გააჩნიათ რეციდივის მაღალი რისკი, რის გამოც პაციენტებს დამატებითი ქირურგიული ჩარევები ესაჭიროებათ [120, 136-138]. საბოლოო დასკვნების გამოსატანად უფრო ღრმა კვლევები და დეტალური შედარებითი ანალიზი არის საჭირო [118].

3.1.2 ბიოლოგიური ბადეები

ბიოლოგიურ ბადეებს მასპინძელ უჯრედებთან კარგად შეზრდის და დეფექტის მიდამოში ქსოვილის ჩანაცვლების უნარი გააჩნიათ, რის გამოც მათ „მესამე თაობის“ ბადეებსაც უწოდებენ [139-141]. სინთეტიკურ ბადეებთან შედარებით, მათ გააჩნიათ

მეზოთელური უჯრედების დეპონირების, ფიბრობლასტების პროლიფერაციის, ნეოვასკულარიზაციის უკეთესი უნარი, გამოყენებისას ფისტულებს და ადჰეზიების განვითარების შანსი ნაკლებია [127, 137, 142-144]. სავარაუდოდ, ამ ბადეების რევასკულარიზაციის ხელშემწყობი თვისებები ეხმარება მასპინძელ იმუნურ უჯრედებს რომ შეამცირონ ინფექციების რისკი. მიუხედავად სახარბიელო შედეგებისა, ბიოლოგიური ბადეების გამოყენება მაინც არის დაკავშირებული გარკვეულ გართულებებთან (ინფექცია, სერომა, მექანიკური სისუსტე, ევისცერაცია) [102, 104, 145]. მუცლის წინა კედლის რეკონსტრუქციაში გამოიყენება ადამიანის კანის ალოტრანსპლანტანტების, საქონლის პერიკარდიუმის და ღორის ნაწლავის ლორწოვანის, ან მისი კანის კოლაგენის ქსენოტრანსპლანტანტებისგან მიღებული ბიომასალები [129], მაგრამ ამ მასალების გამოყენების შემდეგ კვლევების მიმდინარეობამ აჩვენა გამობერილობების, თიაქრის რეციდივის, ევენტრაციის და ბადის სისუსტის მაღალი მაჩვენებელი [126, 146-148]. ამ ბიოლოგიური ბადეების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები ბევრ კვლევაშია ვრცლად განხილული [149-161]. აღსანიშნავია, რომ Acellular dermal matrix (ADM) - მუცლის კედლის რეკონსტრუქციისათვის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად ბადეს წარმოადგენს [162]. ღორის ნაწლავის ლორწოვანისგან შექმნილმა ბიოლოგიურმა ბადემ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი გართულება, როგორც არის ქსოვილის მოცილება და ბადის ინფიცირება [163-165]. კლინიკური კვლევების და ცხოველებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად, სადაც დეფექტის რეკონსტრუქციის დროს გამოიყენეს ღორის დეცელულარიზებული კანის ქსოვილი, ადჰეზიების განვითარების მინიმალური, ხოლო რეციდივის მაღალი მაჩვენებელი აღინიშნებოდა [129]. რაც შეეხება დეცელულარიზებულ საქონლის პერიკარდიუმს, მიუხედავად კარგი გამძლეობისა, მისი გამოყენების შემდეგ მაინც ფიქსირდება ადჰეზიების განვითარების შემთხვევები [166, 167]. დაბინძურებული ჭრილობების დროს უპირატესობა ბიოლოგიური ბადეების გამოყენებას ენიჭება და არა სინთეტიკური მასალებით პლასტიკას [149, 168-174].

3.1.3 ბადეების განთავსების არსებული მეთოდები

მიუხედავად ბადეების ხშირი გამოყენებისა, მათი განთავსების საუკეთესო ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი და დღესაც ქირურგების დავის საგანს წარმოადგენს. გართულებების რისკი განსხვავებულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის ბადე მოთავსებული. არსებობს ბადის განთავსების onlay, inlay, sublay და underlay ტექნიკები. Onlay მეთოდის გამოყენების დროს ბადე თავსდება ფასციის ზემოთ. იმის მიუხედავად, რომ ტექნიკურად მარტივი შესასრულებელია და მნიშვნელოვნად ამცირებს დაწოლას განაკვეთის ადგილას, onlay პოზიციაში ბადის განთავსებამ შეიძლება გამოიწვიოს ეროზიები, ჭრილობის ინფიცირება, ბადის გადაადგილება, სერომების ფორმირება და ლოკალური დისკომფორტი [127]. Inlay მეთოდის გამოყენებისას, რომელის დროსაც ბადე თავსდება დეფექტის კიდეებს შორის, არსებობს თიაქრის რეციდივის, ინფექციის და სერომის ჩამოყალიბების მაღალი რისკი [50]. Sublay-ს დროს ბადის განთავსება ხდება ინტრააბდომინალურად, პრეპერიტონეალურად, ან სწორი კუნთის უკან. Sublay ტექნიკასთან შედარებით, თიაქრის რეციდივის და ინფექციების რისკი უფრო მეტია onlay და inlay მეთოდის გამოყენების დროს როგორც ლაპაროსკოპიული, ასევე ღია წესით ჩატარებული რეკონსტრუქციების დროს [175, 176]. მიუხედავად ამისა, Sublay ტექნიკის გამოყენების დროს მაინც აღინიშნება ინფექციების, ცხიმოვანი ქსოვილის ნეკროზის, სისხლდენის, ჰემატომის განვითარების და ბადის ირგვლივ სითხის აკუმულაციის რისკი [177]. Underlay მეთოდის გამოყენების დროს ბადის განთავსება ხდება ინტრაპერიტონეალურად. მიუხედავად რეციდივის და ინფიცირების მცირე რისკისა, Underlay ტექნიკის გამოყენების დროს იზრდება ადჰეზიების განვითარების და ანთებითი პასუხის ინდუქციის შანსი [127, 178, 179]. ასევე, ზოგიერთ ავტორი underlay-ს ტექნიკას ამჯობინებს onlay მეთოდს მაშინ როცა მაღალია ადჰეზიოლიზის რისკი [50, 180].

3.2 კომპონენტების სეპარაციის ტექნიკები (CST) - უპირატესობები და გართულებები

ზოგიერთი ავტორი კომპონენტების სეპარაციის ტექნიკას, დიდი კომპლექსური დეფექტების დროს, განიხილავს როგორც უსაფრთხო და ეფექტურ მკურნალობის მეთოდს [181]. ლიტერატურაში აღწერილია წინა და უკანა კომპონენტების სეპარაციის მეთოდები [182]. Ramirez-ის მიერ 1990 წელს აღწერილი წინა კომპონენტების სეპარაციის მეთოდი მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების რეკონსტრუქციის ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად ითვლება, მათ შორის ომფალოცელეს და გასტრომიზისის მკურნალობის დროსაც [183-188]. თუმცა, მიუხედავად ეფექტურობისა, ეს მეთოდი გარეთა ირიბი კუნთის აპონევროზამდე მისადგომად (რომელიც შემდგომ განიზიდება შორს ლატერალურად) მოითხოვს კანის და კანქვეშა ქსოვილის მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზაციას. ეს ქმნის დიდი ჭრილობის ზედაპირის მქონე სივრცეს, რომელიც ნეკნის კიდიდან ბოქვენის ძვლამდე მთლიანად ფარავს მუცლის კედელს და ქმნის ამ მიდამოში ჰემატომის, სერომის, ინფექციების განვითარების, სწორი კუნთების დიასტაზის, გარეთა ირიბი კუნთის ლატერალიზაციის საშიშროებას და ზრდის შუა ხაზის მიდამოში კანის ნეკროზის რისკს, რომელიც გამოწვეულია კანქვეშა ქსოვილის მობილიზაციის შემდეგ ეპიგასტრული კან-კუნთოვანი პერფორატორების დაზიანებით [184, 189-191].

აღწერილია პერფორატორების დამზოგველი კომპონენტების სეპარაციის მეთოდებიც [192, 193]. პერფორატორების დამზოგველ ტექნიკებში ერთიანდება: 1. კომპონენტების სეპარაცია ენდოსკოპიური მეთოდის გამოყენებით; 2. პერიუმბილიკალური პერფორატორების და რბილი ქსოვილების დაზოგვის ტექნიკა ღია მეთოდით; 3. ღია ოპერაციული ტექნიკა ნეკნთა რკალის მიდამოში დამატებითი ბილატერალური განაკვეთებით; 4. მინიმალურ ინვაზიური კომპონენტების სეპარაციის მეთოდი (MICS). ამ ტექნიკების გამოყენების დროს თიაქრის რეციდივი 13.8%-ს, კანის

კიდების გადახსნა 11-28%-ს, ხოლო ქრილობის მხრივ გართულებები 3.1-იდან 26.3%-ს აღწევს [90, 193, 194].

უკანა კომპონენტების სეპარაციის ტექნიკა (განივი კუნთის გამოყოფის მეთოდი - TAR) ეყრდნობა Rives-Stoppa-Wantz-ის მიერ 1970 წელს მოწოდებულ მეთოდს, რომელიც ითვალისწინებდა მუცლის სწორ კუნთსა და მის ქვედა კალთას შორის 6-8 სმ-ის სისქის სივრცის შექმნას. Rives-Stoppa-Wantz-ის მეთოდისგან განსხვავებით, TAR ტექნიკის დროს ხდება განივი კუნთის გამოყოფა, რომელსაც მოსდევს განივი კუნთსა და მის ფასციას შორის სივრცის გამოთავისუფლება [195-197]. მუცლის წინა კედელზე არსებული დიდი ზომის დეფექტების სამკურნალოდ ეს მეთოდი არც ისე ეფექტურია [198]. თიაქრების რეციდივის და კანის იშემიის დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, უკანა კომპონენტების სეპარაციის დროს შესაძლოა დაზიანდეს ნეკნთაშუა ნერვული წნულები, განვითარდეს ადრომია, განვითარდეს ინფექცია [95, 199]. დღემდე გაურკვეველია, რეციდივის ნაკლები რისკი დაკავშირებულია უშუალოდ განივი კუნთის გამოყოფის ტექნიკასთან, თუ ამ ტექნიკის შედეგად მუცლის ღრუში ღრმად განთავსებულ ბადესთან [193]. საბოლოო ჯამში, ამ ტექნიკებს შორის არჩევანი კეთდება ქირურგის პირადი არჩევანის და გამოცდილების მიხედვით, რადგანაც კონსერვუსი რეკონსტრუქციის უპირატეს ტექნიკაზე არ არსებობს [182, 200].

3.3 თანდაყოლილი დეფექტების მკურნალობა

ქირურგები ომფალოცელეს და გასტროშიზისის მკურნალობისას ირჩევენ პირველად რადიკალურ ოპერაციულ მიდგომას, თუ დეფექტის ზომა არის პატარა და არ არის ვისცერო-აბდომინალური დისპროპორციის საშიშროება, ხოლო სხვა შემთხვევაში - გამოიყენება მოგვიანებითი რეკონსტრუქცია (staged closure) [201-205]. პირველადი რადიკალური ოპერაციული მიდგომების დროს შესაძლოა განვითარდეს რესპირატორული და ჰემოდინამიკური გართულებები, რომელიც არის ქვემო ღრუ ვენაზე კომპრესიის, ნაწლავების იშემიის, ღვიძლის და თირკმლის მწვავე

უკმარისობის შედეგი [201, 206-210]. მკურნალობის მიზნით ასევე გამოიყენებოდა სილასტიკის და ტეფლონის მასალები ევენტირებული ორგანოების დროებით დასაფარად [211], რომლის დროსაც იყო ნაწლავის ინფიცირების ან დაზიანების, ჭრილობის გახსნის რისკი და დამატებითი ოპერაციების აუცილებლობა. ამ ტექნიკის მოდიფიკაცია, რომელიც მოწოდებულია Allen-ისა და Wrenn-ის მიერ [211], დღესაც ხშირად გამოიყენება ომფალოცელესა და გასტრომიზისის მკურნალობაში. მათი ტექნიკა მოიცავს მუცლის ღრუს ევენტირებული შიგთავსის სილოს ტომარაში მოთავსებას, რომელიც საბოლოოდ შესაძლოა გართულდეს ინფექციით, ნაწლავების შემოგრეხვით და ვენური შეგუბებით, ჭრილობის ზომის გაფართოებით და მისი პრობლემატური დახურვით [202 , 212]. სილო წარმოადგენს „ჩანთას“, რომელიც ქირურგიული ჩარევის გარეშე ევენტირებული ორგანოების მუცლის ღრუში ჩაბრუნების საშუალებას იძლევა. მათი ტექნიკის მიხედვით, ნაწლავების შეშუპების შესამსუბუქებლად და მუცლის ღრუში ევენტირებული შიგთავსის თანმიმდევრული ჩაბრუნების გასაადვილებლად სილო იყო დაკიდებულ მდგომარეობაში. ვისცერო-აბდომინალურმა დისპროპორციამ, დეფექტის დიდმა დიამეტრმა, მემბრანაში არსებულმა ღვიძლის დიდმა ზომამ და სხვადასხვა თანდაყოლილმა ანომალიებმა შეიძლება ადრეულ ეტაპზე ომფალოცელეს ქირურგიული მკურნალობა შეუძლებელი გახადოს [213, 214]. ომფალოცელეს მკურნალობის დროს გამოიყენება ისეთი ტოპიკური საშუალებები, როგორც არის ვერცხლის სულფადაიაზინი და პოვიდონ-იოდი (ბეტადინი) [215, 216]. პოვიდონ-იოდინმა შესაძლოა გამოიწვიოს თიროიდული პრობლემები, ხოლო სულფადაიაზინმა კი - გრანულაციური ქსოვილის ჩაშლა. ასევე, იყენებენ ქსოვილის გამაფართოებლებს, რომელიც თავსდება მუცლის ღრუში აბდომინალურ-ვისცერალური თანაფარდობის დარღვევის შესამცირებლად [217].

4. ქსოვილთა ბიოინჟინერია

მსოფლიოში დონორული ორგანოების სიმცირემ განაპირობა ისეთი ალტერნატიული მეცნიერული მიმდინარეობის შექმნის აუცილებლობა, როგორც არის ქსოვილთა ბიოინჟინერია. მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 100.000 ადამიანი ელოდება სხვადასხვა ორგანოთა ტრანსპლანტაციის რიგს [218]. ქსოვილთა ბიოინჟინერიის მიზანია ადამიანის ქსოვილების, ან ორგანოების ჩანაცვლება / რეგენერაცია, რათა აღდგეს მათი ნორმალური ფუნქცია [219]. ამ დარგის ტრიადა წარმოდგენილია სამი მთავარი ფაქტორით : 1) უჯრედები 2) სასიგნალო მოლეკულები 3) სკაფოლდი. ამ სამივე ფაქტორის ფუნქციონირების ეფექტურობა ერთმანეთზეა დამოკიდებული. სკაფოლდი სასიგნალო მოლეკულებთან ერთად არეგულირებს უჯრედების ქცევასა და ქსოვილების განვითარებას სტრუქტურული, ბიოქიმიური და ბიომექანიკური სიგნალების რეგულირების გზით. არსებობს როგორც სინთეტიკური, ასევე ბიოლოგიური სკაფოლდები. სინთეტიკური სკაფოლდების სტრუქტურისა და მექანიკური თვისებების მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა უჯრედებისათვის სასურველი გარემოს შექმნა, მათი ზრდისა და დიფერენციაციის ხელშეწყობა. შედარებით მდგრადი პოლიმერები (PLGA – Poly-lactic-co-glycolic acid) გამოიყენება ხრტილისა და ძვლების ქსოვილების ინჟინერიაში [220, 221]; ხოლო, შედარებით რბილი ჰიდროგელები, რომლებსაც გააჩნიათ რეგულირებადი შემადგენლობა, კი - რბილი ქსოვილების შექმნისათვის [222]. სკაფოლდების ნანოტოპოგრაფიული აგებულება არა მხოლოდ უჯრედების რეგულაციაში და გენების ექსპრესიაში ღებულობს მონაწილეობას, არამედ ხელს უწყობს სხვადასხვა ღეროვანი უჯრედების ნეირონად, კუნთად და ძვლად გარდაქმნას [223]. ამგვარად, უჯრედების ქცევის მართვა შესაძლებელია სკაფოლდების თვისებების ცვლილებებით. ამ თვისებების ცვლილებების და კონტროლის მიზნით გამოიყენება 3D ბეჭდვისა და ელექტროსპინინგის ტექნიკები. ელექტროსპინინგის ტექნიკების გამოყენებით მიღებული სკაფოლდები გამოიყენება სისხლძარღვების, ძვლების და მიოკარდიუმის შექმნისათვის [224-226]. 3D

პრინტირების დახმარებით კი (სინთეტიკური პოლიმერების და ბიო საღებავების გამოყენებით) შესაძლებელია სკაფოლდის არქიტექტურის შექმნა და მისი კონტროლის უზრუნველყოფა [227-229].

5. ქსოვილების დეცელულარიზაცია

ვინაიდან სინთეტიკურ სკაფოლდებს არ ძალუძს სრულად გაიმეოროს უჯრედების მიკროგარემოს ზუსტი აგებულება, გაჩნდა დიდი ინტერესი ბუნებრივად შექმნილი ექსტრაუჯრედული მატრიქსების (ECM) მიმართ. ეს ბიოლოგიური სკაფოლდები კი სწორედ დეცელულარიზაციის გზით მიიღება. დეცელულარიზაციის მიზანია ექსტრაუჯრედული მატრიქსის გათავისუფლება საკუთარი უჯრედებისა და გენეტიკული მასალისაგან, როდესაც შენარჩუნებულია სტრუქტურული, ბიოქიმიური და ბიომექანიკური სიგნალები. დეცელულარიზაციის შემდეგ შესაძლებელია ექსტრაუჯრედული მატრიქსის პაციენტის საკუთარი უჯრედებით გამდიდრება სხვადასხვა ქსოვილების მიღების მიზნით. დეცელულარიზებული ექსტრაუჯრედული მატრიქსები წარმატებით გამოიყენება ისეთი ორგანოების შესაქმნელად როგორც არის სისხლძარღვი, გულის სარქველი, რქოვანა, ტრაქეა, საყლაპავი, შარდის ბუშტი, თირკმელი, ღვიძლი, ფილტვი და გული [223]. აღწერილია დეცელულარიზაციის ქიმიური, ფიზიკური და შერეული მეთოდები. ფიზიკურმა მეთოდებმა შესაძლოა დააზიანოს ექსტრაუჯრედული მატრიქსი, ხოლო ქიმიურმა მიდგომებმა გამოიწვიოს ამ მატრიქსის ქიმიური შემადგენლობის ცვლილება [230-232].

5.1 დეცელულარიზაციის ქიმიური და ფერმენტული მეთოდები

დეცელულარიზაციის მიზნით აღწერილია სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების (ტუტეები, მჟავები, სურფაქტანტები) გამოყენება. სურფაქტანტი დეცელულარიზაციაში ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი აგენტია, რომელიც უჯრედის ფოსფოლიპიდური მემბრანის დაშლის გზით იწვევს უჯრედის ლიზის

[233]. ეს ნივთიერებები მუხტის მიხედვით იყოფიან იონურ, არაიონურ და ცვიტერიონურ აგენტებად. მჟავები, როგორცაა პეროქსი ძმარმჟავა და ფუძეები, როგორც არის ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ათხიერებენ უჯრედულ მემბრანას და ბირთვშიდა შემადგენლობას მათივე შინაგანი მუხტის თვისებების გამოყენებით.

5.1.1 სურფაქტანტები

ხშირად გამოყენებადი იონური სურფაქტანტი, ნატრიუმის დოდეცილ სულფატი (SDS), წარმატებით გამოიყენება დეცელულარიზაციაში, რადგანაც მას აქვს უჯრედების და გენეტიკური მასალის მოშორების უნიკალური თვისება [234]. SDS-ს აქვს უჯრედების სრული და დნმ-ის მინიმუმ 90%-ის მოშორების უნარი ისეთ ქსოვილებსა და ორგანოებში, როგორც არის ვირთხის წინამხარი და ფილტვი, ღორის რქოვანა, მიოკარდიუმი, გულის სარქველი, წვრილი ნაწლავი, თირკმელი, ადამიანის ვენა, გული და ფილტვები [235-244]. მიუხედავად ეფექტურობისა, SDS-მა შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში დააზიანოს სტრუქტურული და სასიგნალო პროტეინები [238, 243]; ასევე, არასწორი კონცენტრაციის შემთხვევაში შეამციროს ფიბრობლასტების ელასტიურობის და სიბლანტის მოდული [245]. იმის გათვალისწინებით, რომ SDS შესაძლოა იყოს ციტოტოქსიკური, აუცილებელია მისი გამორეცხვა დეცელულარიზაციის დასრულების შემდეგ. ამ ხსნარის გამორეცხვა უნდა მოხდეს ფოსფატის ბუფერული მარილხსნარის (PBS) მსგავსი სითხეების დახმარებით. ნატრიუმის დეოქსიქოლატი (SD) იონური სურფაქტანტის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც უჯრედების მემბრანას შლის. SD-ით უჯრედების სრული მოცილება დაფიქსირდა ვირთხის ფილტვებისა და ღორის გულის სარქველების დეცელულარიზაციისას [238, 242]. SD-ით დეცელულარიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს დნმ-ის აგლუტინაცია ქსოვილების ზედაპირზე [246]. დეცელულარიზაციის შემდეგ, ამ ნივთიერებას აქვს უნარი შეინარჩუნოს მიოზინის, ელასტინის, კოლაგენის დიდი რაოდენობა და მათი არსებული ბოჭკოვანი განლაგება [238, 242, 247]. Triton X-100 წარმოადგენს არაიონურ სურფაქტანტს, რომელიც ხშირად

გამოიყენება SDS-ის ნარჩენების მოსაშორებლად, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მთლიანი ორგანოს დეცელულარიზაცია ხდება [223]. Triton X-100 არა მხოლოდ გამორეცხვისათვის, არამედ დეცელულარიზაციისთვისაც ხშირად გამოიყენება. რადგანაც ის არაიონური წარმოშობის ნივთიერებაა, ის ნაკლებად აზიანებს ქსოვილებს და მათ სტრუქტურულ მთლიანობას. ამონიუმის ჰიდროქსიდთან ერთად, Triton X-100-ს აქვს უნარი მთლიანად შეინარჩუნოს ქსოვილების ულტრაქსტრუქტურა და მისი მექანიკური თვისებები, მოაშოროს დნმ ქსოვილიდან და ასევე, SDS-სთან შედარებით, უზრუნველყოს მეტი I ტიპი კოლაგენის შენარჩუნება [240, 248]. ცვიტერიონი, 3-[(3-cholamidopropyl)dimethylammonio]-1-propanesulfonate (CHAPS) - გამოიყენება როგორც გამორეცხვის, ასევე დეცელულარიზაციის მიზნით. მას აქვს ულტრასტრუქტურის, კოლაგენის და ელასტინის შენარჩუნების უნარი, თუმცა დნმ-ის მოშორების მხრივ, ჩამოუვარდება სხვა არსებულ დეტერგენტებს.

5.1.2 მჟავები და ტუტეები

დეცელულარიზაციის პროტოკოლებში ხშირად გამოყენებული მჟავები და ტუტეებია: პეროქსი ძმარმჟავა, ძმარმჟავა, მარილმჟავა, გოგირდმჟავა, ნატრიუმის ჰიდროქსიდი, ამონიუმის ჰიდროქსიდი და კალციუმის ჰიდროქსიდი [249, 250]. პეროქსი ძმარმჟავა, რომელიც ძალიან კოროზიული და ძლიერი მჟანგველია, გამოიყენება როგორც სტერილიზაციისათვის, ასევე დეცელულარიზაციისათვის. ქსოვილის დაზიანებული მექანიკური თვისებები, გლიკოზამინოგლიკანების მოშორება, არასახარბიელო კოლაგენური განლაგება და უჯრედების არასრული მოცილება ამ ხსნარის გამოყენების ნაკლოვანებებს წარმოადგენს [223, 251]. თუ გვსურს მივიღოთ მოქნილი და გაფართოების უნარის მქონე მატრიქსი, ამ ხსნარით ქსოვილების დეცელულარიზაცია მიზანშეწონილი არ არის. ტუტეები ხშირად გამოიყენება კანის ნიმუშებიდან თმის მოსაშორებლად სანამ დეცელულარიზაციის პროცესი დაიწყება [252]. ტუტეებს ექსტრაუჯრედულ მატრიქსზე და მათი კოლაგენური პროტეინების კომპონენტებზე დამაზიანებელი მოქმედება შეიძლება

ჰქონდეს; ასევე, შესაძლოა შეამციროს მატრიქსის მექანიკური თვისებები და მისი ზედაპირიდან მოაშოროს ზრდის ფაქტორები [253].

5.1.3 დეცელულარიზაცია ჰიპოტონური და ჰიპერტონული ხსნარებით

ჰიპერტონული და ჰიპოტონური ხსნარები იწვევენ უჯრედების „აფეთქებას“ ოსმოსური თავისებურებებიდან გამომდინარე. დეცელულარიზაციის დაგეგმვამდე უნდა გათვალისწინებული იყოს ისიც, რომ ოსმოსური შოკისგან დახოცილი უჯრედები, ბირთვული შიგთავსი და დნმ-ის ნარჩენები რჩება მატრიქსში. ამ მიზნით შესაძლოა გამოყენებული იყოს ისეთი ენზიმები, როგორცაა ენდონუკლეაზები და ექსონუკლეაზები [254, 255].

5.1.4 ქიმიური დეცელულარიზაცია ფერმენტების დახმარებით

ქიმიური დეცელულარიზაციის პროცესში ასევე გამოიყენება ფერმენტები, როგორც დამხმარე საშუალება. მაგალითისთვის, აღწერილია დეცელულარიზაციის შემდეგ DNase-ს გამოყენების შემთხვევები მატრიქსში დნმ-ის ნარჩენი ფრაგმენტების დაშლის მიზნით [254, 256]. დნმ-ის ფრაგმენტების შემცირების მიუხედავად, შესაძლებელია ანტისხეულების მაინდუცირებელი ცილების მცირე რაოდენობა მაინც დარჩეს და შეამციროს მატრიქსის იმუნოგენურობა. ხშირად გამოიყენება ტრიფისინიც ეთილენდიამინტეტრაკეტის მჟავასთან (EDTA) ერთად. იმის მიუხედავად რომ ამ ნაერთის კომბინაციას შეუძლია გენეტიკური მასალის და უჯრედების სრული მოშორება, მაინც არის გლიკოზამინოგლიკანების, მარილში და მჟავაში ხსნადი კოლაგენების, ელასტინის და მატრიქსის მექანიკური სიძლიერის შემცირების რისკი [257]. პეპსინი დეცელულარიზაციის პროცესებში ასევე ხშირად გამოყენებადი ენზიმია, თუმცა ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად შესაძლოა დააზიანოს ექსტრაუჯრედული მატრიქსი [258].

5.2 დეცელულარიზაციის ფიზიკური მეთოდები

დეცელულარიზაციის ფიზიკური მეთოდებიდან აღსანიშნია გაყინვა-გაღობის, მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის და ნახშირორჟანგის (CO₂) გამოყენების ტექნიკები. მექანიკური დეცელულარიზაციის შემდეგ აუცილებელი და მნიშვნელოვანია გამორეცხვის ჩატარება იმისათვის, რომ სრულად გამოსუფთავდეს მატრიქსი უჯრედული ნარჩენებისგან.

5.2.1 გაყინვა-გაღობის მეთოდი

გაყინვა-გაღობის მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს -80°C ტემპერატურაზე გაყინვას და 37°C-ზე გაღობას, საბოლოოდ იშლება და შორდება უჯრედები ქსოვილებს. ლიტერატურაში აღწერილია გაყინვა-გაღობის განსხვავებული ტემპერატურების და ციკლების რაოდენობის გამოყენებაც. იმის მიუხედავად, რომ ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ ნარჩუნდება სკაფოლდის ბიომექანიკური თვისებები და საჭირო ბიოქიმიური კომპონენტები, არის in vivo იმუნური მოცილების დიდი რისკი, რადგანაც ვერ ხერხდება გენეტიკური მასალების საკმარისი რაოდენობით მოცილება [223].

5.2.2 მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის გამოყენების მეთოდი

მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის მეთოდის დროს, უჯრედების მემბრანების დააშლის მიზნით, ხდება 600 მეგაპასკალზე მაღალი წნევის გამოყენება. ეს მეთოდი ეფექტურად აშორებს უჯრედებს, თუმცა ტოვებს მატრიქსში დნმ-ის ფრაგმენტებს, რისთვისაც საჭირო ხდება DNase I-ის და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენება მოშორების რეაქციის თავიდან ასაცილებლად [259, 260]. ამ მეთოდმა შესაძლოა გამოიწვიოს ექსტრაუჯრედული მატრიქსის ცილების დენატურაცია, რაც გამოიხატება კოლაგენის და ელასტინის ბოჭკოების დეფორმაციაში. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ტემპერატურაზე მოხდება მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის გამოყენება ქსოვილებზე. კვლევების მიხედვით, 10°C-ზე უკეთ ნარჩუნდება

კოლაგენის და გლიკოზამინოგლიკანების რაოდენობა მატრიქსში, ვიდრე 30°C-ზე, თუმცა არის ყინულის ფორმირების რისკი, რომელიც ქსოვილის სტრუქტურის დესტრუქციას იწვევს [259, 260].

5.2.3 სუპერკრიტიკული CO₂-ის გამოყენების მეთოდი

სუპერკრიტიკულ ნახშირორჟანგს გააჩნია 31.1°C და 7.40 მეგაპასკალის კრიტიკული წნევა. CO₂-ის დიფუზურობის გამო გამხსნელი მალე ტოვებს ქსოვილს და არ საჭიროებს შემდგომი გამორეცხვის პროცედურების ჩატარებას. არაპოლარულობის გამო ნახშირორჟანგს შესაძლოა დაემატოს ეთანოლი პოლარული ფოსფოლიპიდური მემბრანების მოცილების მიზნით. სუპერკრიტიკული ნახშირორჟანგის გამოყენების შემდეგ არ ირღვევა კოლაგენის, ელასტინის მთლიანობა და მატრიქსის მექანიკური მდგრადობა.

5.3 დეცელულარიზაციის კომბინირებული მეთოდები

იმის გამო, რომ არსებულ დეცელულარიზაციის ტექნიკებს გააჩნიათ დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოიყენება მათი კომბინაცია სასურველი მახასიათებლების მქონე მატრიქსის შესაქმნელად. მაგალითისთვის, მექანიკური (ფიზიკური) მეთოდები ნაკლებად დამაზიანებელია ქსოვილის სტრუქტურისათვის, თუმცა იმუნოგენურობის თვალსაზრისით ბევრი ნაკლი გააჩნია. სურფაქტანტებს და ენზიმებს ცალ-ცალკე კი არ შეუძლიათ უჯრედების ბოლომდე მოშორება. კომბინირებული მეთოდების გამოყენებისათვის საჭიროა ბევრი რეაგენტი და დეცელულარიზაციის მეტი დრო. მსხვილი ქსოვილების (რომელიც რამოდენიმე შრეს მოიცავს, მაგ: ცხიმოვანი ქსოვილი) დეცელულარიზაციის მიზნით შესაძლოა საჭირო გახდეს ქიმიური, ენზიმური და მექანიკური მეთოდების გამოყენების ერთობლიობა. ღორის ცხიმოვანი ქსოვილის დეცელულარიზაციის მიზნით აღწერილია გაყინვა-გაღობის, ტრიფსინ/EDTA-ს და Triton X-100/SD-ს მეთოდების კომბინაციის გამოყენება [261]; სტერილიზაციის მიზნით კი გამოყენებული იყო ეთანოლი, ნ-

პროპრანოლი და პეროქსი ძმარმჟავა. ამავე ქსოვილის დეცელულარიზაციის მიზნით აღწერილია გაყინვა-გაღობის, ფერმენტული მეთოდების (ტრიფსინი, DNase II, RNase III, Lipase IV) და პოლარული გამხსნელების გამოყენების კომბინირებული მეთოდებიც [262]. Cortiella et al. (2010) მიხედვით, ვირთხის ფილტვების დეცელულარიზაციის მიზნით შესაძლოა გამოყენებულ იყოს ორი მექანიკური მეთოდის, სურფაქტანტის და ენზიმების კომბინაციაც [263].

6. Cross linking მეთოდები

ცნობილია, რომ ექსტრაუჯრედული მატრიქსი ძირითადად წარმოდგენილია კოლაგენით და ელასტინით. ტიპური კოლაგენი შედგება სამი სპირალურად დახვეული პოლიპეპტიდური ჯაჭვისგან; ხოლო, თითოეული ჯაჭვი შედგება გლიცინის, პროლინის და ჰიდროქსიპროლინის (Gly, Pro, Hyp) ამინომჟავების თანმიმდევრული განლაგებისგან. სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად კოლაგენის სტრუქტურამ შესაძლოა დაკარგოს მექანიკური მდგრადობა და დეფორმირდეს. ზუსტად ამ მიზნით გახდა Cross linking ტექნიკის გამოყენება აუცილებელი, რათა გაძლიერდეს მატრიქსის კოლაგენებს შორის პოლიმერული ბმები. ბიოინჟინერიაში Cross linking-ის (ჯვარედინი კავშირის) ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კოვალენტური კავშირების წარმოქმნა კოლაგენის მოლეკულებს შორის (თავისუფალ ამინს და კარბოქსილის ჯგუფებს შორის). Cross Linking-ს შეუძლია უზრუნველყოს სტრუქტურის ელასტიურობა, შეამციროს მისი სიბლანტე, უზრუნველყოს პოლიმერის უხსნადობა და მისი სიმყარე, შეამციროს დნობის ტემპერატურა, გარდაქმნას თერმოპლასტები თერმოსეტებად. არსებობს Cross linking-ის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური (ფერმენტული) მეთოდები. ფერმენტულ მეთოდებს შეუძლიათ ბიოშეთავსებადი კოლაგენური სტრუქტურის ფორმირების ხელშეწყობა (ტოქსიურობის გარეშე), მაგრამ არ შეუძლიათ მექანიკური მდგრადობის და ჰიდროთერმული სტაბილურობის უზრუნველყოფა. ბიოინჟინერიაში არსებულ

დღევანდელ გამოწვევებს ეს ორი მეთოდი ვერ პასუხობს, ამიტომაც უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება cross linking-ის ქიმიური მეთოდები [264].

6.1 Cross linking-ის ქიმიური მეთოდები

ყველაზე ხშირად ქიმიური Cross linking-ის რეაგენტებად გამოიყენება ალდეჰიდები (მაგ: გლუტარალდეჰიდი -GTA), იზოციანები (მაგ: ჰექსამეთილენის დიზოციანატი - HMDI), კარბოდიმიდები (მაგ: 1-ეთილ-3-3-დიმეთილამინოპროპილ კარბოდიმიდი - EDC) [265]. არც თუ ისე ხშირად გამოიყენება ფოტორეაქტიული აგენტები (ვარდისფერი ბენგალი, რიბოფლავინი), კარბოჰიდრატები (რიბოზა, გლუკოზა) და მცენარეული ექსტრაქტები (გენიპინი, ოლეუროპეინი, Myrica rubra) [265]. გლუტარალდეჰიდს გააჩნია თვითპოლიმერიზაციის უნარი და სხვა ქიმიურ რეაგენტებთან შედარებით ყველაზე მაღალი Cross Linking-ის ხარისხი [264]. ამასთანავე, GTA ხასიათდება დაბალი ანტიგენური თვისებებით და კარგი ჰემოდინამიკური მოქმედებით, თუმცა ციტოტოქსიურობა და კალციფიკაცია შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მეთოდის გამოყენების უარყოფით მხარეებს [264]. ასევე, გლუტარალდეჰიდის მეშვეობით ჩატარებული Cross Linking ეფექტურად გამოიყენება სტაბილური ჟელატინის ჰიდროგელების ფორმირებაშიც [266, 267]. HMDI-ს კი შეუძლია ციტოშეთავსებადობის და მექანიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. კარბოდიმიდები ან აცილ აზიდები გამოიყენება როგორც GTA/HMDI-ს ალტერნატივა და შესაძლოა იყოს უფრო ციტოშეთავსებადი, ნაკლებად მდგრადი პროტეოლიზური შეტევის მიმართ და ნაკლებად მიდრეკილი კალციფიკაციისკენ, თუმცა არ გამოირჩევიან სტრუქტურული მდგრადობის შენარჩუნების უნარით [265]. სხვადასხვა გართულებების (მაგ: ჰიდროლიზი) თავიდან ასაცილებლად ისეთი კარბოდიმიდები, როგორც არის EDC, ხშირად გამოიყენება ნ-ჰიდროქსისუქცინიმიდთან (NHS) ერთად. EDC/NHS კომბინაციას შეუძლია უზრუნველყოს მატრიქსის ბიოშეთავსებადობა, ნაკლებად მიდრეკილია კალციფიკაციისკენ, გააჩნია უნარი რომ არ მოხდეს მათი მატრიქსში ინკორპორირება,

თუმცა არის ძვირადღირებული მეთოდი; აუცილებელია ამ ნივთიერებების კონცენტრაციის შეფარდების სწორედ შერჩევა, რაც განაპირობებს მატრიქსის ფიზიკურ / ქიმიურ თვისებებს და მექანიკურ მდგრადობას [264]. ქიმიური რეაგენტებიდან აღსანიშნავია გლიცეროლზე დაფუძნებული ეპოქსიდური (Epoxy) ნაერთების გამოყენება, რომლებიც დაბალი ციტოტოქსიურობით გამოირჩევიან; მათი გამოყენებისას არის ნუკლეოფილური შეტევების მაღალი და კალციფიკაციის დაბალი რისკი [264].

6.2 Cross linking-ის ფიზიკური მეთოდები

ფიზიკური მეთოდებიდან აღსანიშნავია ფოტოოქსიდაცია, დეჰიდროთერმული მიდგომები, ულტრაიისფერი და გამა სხივების, კალციუმის / ფოსფორის იონების გამოყენება [268]. მოკლე ტალღის ულტრაიისფერ დასხივებას (254 nm) შეუძლია ჯვარედინი კავშირების წარმოქმნა კოლაგენში, თუმცა ამ მეთოდის გამოყენების დროს შესაძლოა მოხდეს კოლაგენის მოლეკულების დენატურაცია ბმების რღვევის გამო. დეჰიდროთერმული (DHT) მეთოდების გამოყენებისას ხდება კოლაგენიდან წყლის მოშორება (ვაკუუმში 100°C-ზე რამოდენიმე საათიანი გამოშრობის გზით), რის შედეგადაც ყალიბდება შიდაჯაჭვური ჯვარედინი ბმები. ქიმიურ მეთოდებთან შედარებით, Cross Linking-ის და მექანიკური მდგრადობის ხარისხი ფიზიკური მეთოდების გამოყენების დროს ბევრად დაბალია [269-271], რის გამოც შესაძლოა მოხდეს დეჰიდროთერმული და ქიმიური მეთოდების (ციანამიდის მეშვეობით) კომბინირებული გამოყენება.

6.3 Cross linking-ის ბიოლოგიური (ფერმენტული) მეთოდები

Cross Linking-ის ბიოლოგიური მეთოდებიდან აღსანიშნავია ტრანსგლუტამინაზას და თიროზინის (ოქსიდორედუქტაზა) გამოყენება [272]. ტრანსგლუტამინაზა, რომლის მოპოვებაც ხდება სხვადასხვა ცხოველებისგან და მცენარეებისგან, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ჯვარედინი კავშირების წარმოსაქმნელად. აღწერილია ქსოვილის

ტიპის (Ca^{2+} -დამოკიდებული) და მიკრობული (Ca^{2+} -დამოუკიდებული) ტრანსგლუტამინაზას გამოყენება ექსტრაუჯრედული პროტეინების Cross Linking-ის მიზნით [265, 273]. ზოგიერთი კვლევის მიხედვით კოლაგენზე დაფუძნებული მასალების ტრანსგლუტამინაზებით Cross Linking-მა, ქიმიურ მეთოდებთან შედარებით, აჩვენა დენატურაციული ტემპერატურის, მექანიკური გამძლეობის და ბიოლოგიური სტაბილურობის შედარებით უკეთესი მაჩვენებლებიც [265].

7. ამნიონური მემბრანა

ამნიონური მემბრანა დღეს მეცნიერთა დიდ ინტერესს საგანს წარმოადგენს და მისი გამოყენებით დღემდე ცდილობენ უამრავი დაავადების, დეფექტების მკურნალობას და სხვადასხვა ქსოვილების აღდგენას. აღწერილია მათი გამოყენება ჭრილობების შეხორცების [274], დამწვრობის მკურნალობის [275], პერიკარდიუმის აღდგენის [276], სხვადასხვა უჯრედების პროლიფერაციის ინდუცირების [277], ფისტულებისა და ღრძილის დეფექტების მკურნალობის მიზნით [278, 279]. ორი ყველაზე დიდი უპირატესობა, რაც გააჩნია დეცელულარიზებული პლაცენტის მემბრანას არის ის, რომ მას აქვს უნიკალური ექსტრაუჯრედული მატრიქსი, რაც ხელს უწყობს ქსოვილთა სწრაფ შეხორცებას და რეგენერაციას [279, 280]. ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მისი მოპოვება სხვა ბიოლოგიურ მასალებთან შედარებით ადვილია, რადგანაც პლაცენტის უტილიზება მსოფლიოს მამტაბით არცერთ ქვეყანაში არ ხდება.

8. დასკვნა

დღესდღეისობით მთავარი პრობლემა არის ის, რომ მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების რეკონსტრუქციისათვის მოწოდებული ოპერაციული მეთოდების გამოყენებით ბოლომდე ვერ ხერხდება პლასტიკის იმ მთავარი ამოცანების შესრულება, რაც მოიცავს მუცლის კედლის მთლიანობის სრულ აღდგენას, მუცლის ღრუში არსებული ორგანოების დაცვას, გართულებების თავიდან აცილებას და

თიაქრების რეციდივის პრევენციას. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ არ არსებობს მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტებისათვის განკუთვნილი იდეალური ბიომასალები (ბადეები), რომელთაც ექნებათ უნიკალური ბიოლოგიური მახასიათებლები - ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, ანტიფიბროზული, ანტიადჰეზიური და დაბალი იმუნოგენობა. რეგენერაციული მედიცინის და ბიოინჟინერიის სწრაფი წინსვლის გამო ვფიქრობთ, რომ გვექნება შესაძლებლობა ჩატარებული კვლევების ბოლოს, მივიღოთ ისეთი სამგანზომილებიანი ბიოლოგიური მემბრანა, რომელის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება მუცლის წინა გვერდითი კედლის რეკონსტრუქციის მიზნით.

თავი III

მასალა და მეთოდები

1. ექსპერიმენტში ადამიანის ამნიონ ქორიონის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული სამგანზომილებიანი მემბრანის შექმნის მეთოდი

დეცელულარიზებული ქორიონამნიონური მემბრანის სამგანზომილებიან მატრიქსის შესაქმნელად საჭირო ყველა პლაცენტა მოვიპოვეთ სამშობიაროში მყოფი ჯანმრთელი ორსულებისაგან, რომელთაც იმშობიარეს 38-42 გესტაციურ კვირაზე. დედებს ჰქონდათ დამაკმაყოფილებელი მშობიარობა და ყველა დაბადებული ბავშვი იყო ჯანმრთელი (წონით 2700-3700 გრ). სამშობიარო დაწესებულებებს ნათლად განემარტა ჩვენი პროექტის მიზანი, ამოცანები და ექსპერიმენტში ადამიანის პლაცენტის გამოყენების აუცილებლობა, რაც საკმარისი იყო პლაცენტის მოპოვებასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემების რისკების თავიდან ასაცილებლად. თანხმობის მიღების შემდეგ, მეან-გინეკოლოგებს ასევე განემარტათ იმ ფაქტის მნიშვნელობაც, რომ ოპერაციის დროს არ უნდა მომხდარიყო პლაცენტის დაზიანება.

დეცელულარიზებული ქორიონამნიონური მემბრანის სამგანზომილებიან მატრიქსის შექმნის ყველა ეტაპი მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში. ყოველ ჯერზე პლაცენტის ტრანსპორტირება ხდებოდა სტერილური კონტეინერის დახმარებით. ადამიანის პლაცენტის და ამნიონური მემბრანის დეცელულარიზაცია მოხდა დეტერგენტებით, რომლებიც დღესდღეისობით სხვადასხვა ორგანოების და ქსოვილების დეცელულარიზაციისთვის გამოიყენება [281]. ლაბორატორიაში მისვლისთანავე და

დეცელულარიზაციის პროცესის დაწყებამდე ხდებოდა ჭიპლარის არტერიის და ვენის კათეტერიზაცია პოლიეთილენის კათეტერებით, რომლებიც ჭიპლარის სისხლძარღვებზე მაგრდებოდა ნაკერების საშუალებით. კათეტერიზაციის შემდეგ 0,9%-იანი ფიზიოლოგიური ხსნარის და ჰეპარინის საშუალებით ხდებოდა ირიგაცია 37°C-ზე, რათა თავიდან აგვეცილებინა დრენაჟის სისხლის კოაგულაციით შეფერხება. ამის შემდეგ, პლაცენტა თავსებოდა საყინულეში -80°C-ზე 24 საათის განმავლობაში; 24 სთ-ის შემდეგ კი ლღვებოდა ოთახის ტემპერატურაზე. პლაცენტის გაღობის შემდეგ, არტერიაში ჩაყენებული კათეტერის მეშვეობით იწყებოდა მისი გამორეცხვა Phosphate Buffered Saline (PBS, Sigma)-ის ხსნარით. ამის შემდეგ იწყებოდა დეცელულარიზაციის 72 სთ-იანი ეტაპი. პირველ 24 სთ-ში პლაცენტის გამორეცხვა მიმდინარეობდა გამოხდილ წყალში გახსნილი 0.01%-იანი Sodium Dodecyl Sulfate (SDS, Sigma)-ის ხსნარით (სურ. 1 ა). მომდევნო 24 საათის განმავლობაში პლაცენტის გამორეცხვა მიმდინარეობდა SDS-ის 0.1%-იანი ხსნარით (სურ. 1 ბ), ხოლო ბოლო 24 საათში კი SDS-ის 1%-იანი ხსნარით.



სურათი 1. (ა,ბ) პლაცენტის დეცელულარიზაციის პროცესი



სურათი 2. დეცელულარიზებული პლაცენტა

ამ აღწერილი ეტაპის შემდგომ, იმისათვის რომ მოხდეს SDS-ის ნარჩენებისგან პლაცენტის გამთავისუფლება, საჭიროა კათეტერების დახმარებით და გამოხდილი წყლის გამოყენებით მოხდეს პლაცენტის გამორეცხვა 15 წუთის გამავლობაში; ამის შემდეგ კი - Triton X- 100 (Sigma)-ის 1%-იანი ხსნარის დახმარებით 30 წუთის განმავლობაში. ბოლო ეტაპზე, დეცელულარიზებული პლაცენტის (სურ. 2) გამორეცხვა მიმდინარებს 1 საათის განმავლობაში PBS-ის დახმარებით.

დეცელულარიზაციის პროცესის შემდეგ ხდებოდა ამნიონის მემბრანის პლაცენტისაგან გამოყოფა, იჭრებოდა 6 x 6 სმ-ის ზომის ნაჭრებად. ამნიონის მემბრანების ლიოფილიზაცია ხდებოდა სპეციალური ლიოფილიზაციის დანადგარის მეშვეობით (Power Dry PL 6000 Freeze Dryers, Shenzhen, China). დეცელულარიზებული და ლიოფილიზირებული მემბრანები (სურ. 3) თავსდებოდა პლასტმასის ერთჯერად შეფუთვაში და ხდებოდა მათი სტერილიზაცია გამა რადიაციის დახმარებით (15 kGy დოზით).



სურათი 3. ა) ადამიანის დეცელულარებული ამნიონური მემბრანა ბ) ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული მემბრანა

დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანების სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპია

ამნიონური მემბრანების სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპია ჩატარდა დაბალ ვაკუუმზე მომუშავე ოქსფორდის უნივერსიტეტის აპარატით (JEOL JSM-5510), რომელსაც გააჩნია 30 kV მაქსიმალური სიმძლავრე და შეუძლია 3.5 ნმ-ის რეზოლუციის მოცემა. სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპიის ჩატარებამდე, დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანები 12 საათის განმავლობაში ფიქსირებული იყვნენ 3%-იან გლუტარალდეჰიდის ხსნარში.

დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანების ჰისტოლოგიური კვლევა

პროტოკოლის სრული დაცვით, ჰისტოლოგიური კვლევისათვის გაკუთვნილი სხვადასხვა ზომის დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანების ფიქსაცია მოხდა 10%-იან ფორმალინის ხსნარში, შემდეგ მოთავსდა პარაფინის ბლოკებში და ბოლოს, შეიღება მასონ ტრიქრომისა და ჰემატოქსილინ-ეოზინის დახმარებით.

ადამიანის ნატიური და დეცელულარიზებული / ლიოფილიზებული ამნიონის მემბრანის დნმ-ის ანალიზი


დნმ-ის ანალიზი ჩატარდა Kakabadze et al (2016) აღწერილი პროტოკოლის მიხედვით [279]. დნმ-ის ამნიონებიდან იზოლაცია მოხდა სპეციალური ექსტრაქციის ნაკრების (G-spin Kit; iNtRON Biotechnology) საშუალებით. დნმ-ის განსაზღვრა მოხდა 260 ნმ ტალღის სიგრძით სპექტროფოტომეტრის (NanoDrop 1000; Thermo Fisher Scientific) გამოყენებით.

ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონის მემბრანის დაფარვა ჰიდროგელით

ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონური მემბრანის დასაფარად გამოყენებული იყო გლუტარალდეჰიდი და ჟელატინი. ჟელატინის ჰიდროგელი შეიქმნა ქიმიური Cross Linking-ის მეშვეობით (გლუტარალდეჰიდის ხსნარის გამოყენებით) Wang et al. მიხედვით [282]. ამის შემდეგ კი მოხდა დეცელულარიზებული და ლიოფილიზირებული სამგანზომილებიანი ამნიონური მემბრანის დაფარვა ქიმიური Cross Linking-ით მიღებული ჟელატინის ჰიდროგელით. ამისათვის, დეცელულარიზებული და ლიოფილიზირებული ამნიონის მემბრანა მოთავსდა ჟელატინის 5%-იან და გლუტარალდეჰიდის 0,1%-იან შერეულ ხსნარში, რომელიც დაყოვნდა 4°C -ზე 15 წუთის განმავლობაში (განმეორდა 3-ჯერ) და ამის შემდეგ კი - ისევ 4°C -ზე 12 საათის განმავლობაში. ამნიონის მემბრანა შემდგომ მოთავსდა 100mM გლიცინის წყალხსნარში 37 °C-ზე 12 საათის განმავლობაში და სამჯერ გამოირეცხა ორმაგი გამოხდილი წყლის საშუალებით (სურათი 4, 5). ბოლოს, ამნიონური მემბრანის გასტერილება და გამომშრობა ხდებოდა ეთილენოქსიდის გაზის დახმარებით, ინახებოდა -80°C ტემპერატურაზე და ლღვებოდა საჭიროების შემთხვევაში.



სურათი 4. ჟელატინის ჰიდროგელით ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონური მემბრანის დაფარვის პროცესი.



სურათი 5. ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონური მემბრანა დაფარულია ჟელატინის ჰიდროგელით.

ამნიონური მემბრანის ჭიმვადობის ტესტი დეცელულარიზაციამდე და დეცელულარიზაციის შემდეგ.

ამნიონური მემბრანის ჭიმვადობის ტესტი დეცელულარიზაციამდე და დეცელულარიზაციის შემდეგ შესრულდა Tanaka K et al. (2010) მეთოდის მიხედვით [283]. ჭიმვადობის ტესტისათვის გამოყენებული იყო 100 N სიმძლავრის უნივერსალური მექანიკური ტესტირების მანქანა (EZ-graph, SHIMADZI Co). დეცელულარიზებული და ნატიური ამნიონური მემბრანის სამ-სამი ნიმუში მაგრდებოდა მექანიკური ტესტირების მანქანის ორი მომჭერის (pin / grip type) დახმარებით [სურ. 6]. ზეწოლა ხდებოდა მხოლოდ ამნიონურ მემბრანაზე, რის შემდეგაც იწყებოდა ჭიმვადობის ტესტი 0,05 მმ/წმ სიჩქარით. იმისათვის რომ არ გამოიმშრალიყო ამნიონური მემბრანა, სატესტო მასალა თავსდებოდა სპეციალურ კონტეინერში, რისი მეშვეობითაც ნარჩუნდებოდა 100% ტენიანობა.



სურათი 6. ამნიონური მემბრანების ჭიმვადობის ტესტირების პროცესი

2. ადამიანის, ვირთაგვას და ღორის მუცლის წინა გვერდითი კედლის ანატომიური კვლევა

იმის დასადგენად, თუ რამდენად ჰგავს ვირთაგვას მუცლის წინა გვერდითი კედელი ადამიანისას, მოხდა Lewis-ის ჯიშის 5 ვირთაგვას ევთანაზია 1-2 მგ/კგ ინტრაკარდიალური ნატრიუმის პენტოზარბიტალის დახმარებით. ევთანაზიის შემდეგ, მოხდა კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა / მობილიზაცია, არქიტექტურული და მორფოლოგიური ანალიზის მიზნით კი - მუცლის წინა გვერდითი კედლის კუნთების (სწორი, გარეთა, შიგნითა და განივი კუნთების) ფორმალინში ფიქსაცია. ამის შემდეგ დაიწყო მუცლის წინა გვერდითი კედლის რევიზია და კუნთების ერთმანეთისგან სეპარაცია.

იმის დასადგენად, თუ რამდენად ჰგავს ღორის მუცლის წინა გვერდითი კედელი ადამიანისას, მოხდა 2 შინაური ღორის (20-25 კგ წონის) ევთანაზია ინტრავენური ნატრიუმის პენტოზარბიტალის დახმარებით. როგორც ვირთაგვების შემთხვევაში, ევთანაზიის შემდეგ, მოხდა კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა / მობილიზაცია, მუცლის წინა გვერდითი კუნთების ფორმალინში ფიქსაცია, მუცლის კედლის რევიზია და კუნთების სეპარაცია.

3. ვენტრული თიაქრის დეფექტის მოდელირება და მისი შემდგომი რეკონსტრუქცია ცხოველებში

ექსპერიმენტები ჩატარდა Lewis-ის ჯიშის 40 ვირთაგვაზე მასით 200-250 გრ. და იორკშირის ჯიშის, ორივე სქესის, 10 შინაურ ღორზე წონით 25-30 კგ.


ყველა მანიპულაცია ტარდებოდა ეთიკის კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროტოკოლის (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) მიხედვით. ცხოველები მოთავსებულები იყვნენ ვივარიუმის სტანდარტულ პირობებში. შეუზღუდავად ეძლეოდათ საკვები და სასმელი წყალი. ყველა ოპერაცია ჩატარდა

ზოგადი გაუტკევარების პირობებში. წინასწარ ცხოველებს ექმნებოდათ მუცლის ვენტრული თიაქრის დეფექტის მოდელი.


3.1 ვენტრული თიაქრის მოდელირება და მისი შემდგომი რეკონსტრუქცია ვირთაგვებში

ვენტრული თიაქრის მოდელირება

ზოგადი გაუტკევარების პირობებში (0.1 მლ / 100გრ ketamine-ის (Ketalar ® და 0.05 მლ / 100 გრ xylazine-ის (Xilazin ®), ვენტრული თიაქრის მოდელირებისათვის ყველა ვირთაგვას თეთრი ხაზის პროექციაში გაუკეთდა 3,5 სმ ზომის სიგრძივი განაკვეთი. გაიკვეთა კანი და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი (სურ. 7). ამის შემდეგ, მოხდა მუცლის თეთრ ხაზის და პერიტონიუმის გაკვეთა; შეიქმნა 1 სმ დიამეტრის მქონე მუცლის წინა კედლის დეფექტი (სურ. 8). დეფექტის შექმნის შემდეგ კანი და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი გაიკერა კვანძოვანი ნაკერებით 6/0 (ETHICON) ატრავმული ნემსის გამოყენებით.



სურათი 7. გაკვეთილია კანი და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი. ჭრილობაში მოჩანს მუცლის თეთრი ხაზი.



სურათი 8. ვენტრული თიაქრის მოდელირების პროცესი ვირთაგვებში

ოპერაციების შემდეგ ყველა ვირთაგვა მოთავსდა ვივარიუმში სტანდარტულ პირობებში. ხოლო, 3 კვირის შემდგომ, როდესაც თვალსაჩინო იყო მუცლის წინა კედლის დეფექტის მოდელი, ხდებოდა რელაპაროტომია და თიაქრის რეკონსტრუქცია.

მუცლის ვენტრული დეფექტის რეკონსტრუქცია ვირთაგვებში

ცხრილი 1-ში მოცემულია ვირთაგვაზე ჩატარებული ოპერაციული ჩარევის სახეები, საცდელი ცხოველების ჯგუფები და რაოდენობა.

საცდელი ცხოველების ჯგუფები	საცდელი ცხოველების რაოდენობა	ოპერაციული ჩარევის სახეები
I	10	ვენტრული თიაქრის მოდელი. რეკონსტრუქცია

		ULTRAPRO™ ბადის საშუალებით
II	10	ვენტრული თიაქრის მოდელი. რეკონსტრუქცია ULTRAPRO™ ბადის საშუალებით, რომლის ზედაპირებიც ორივე მხრიდან დაფარული იყო დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ადამიანის ამნიონით
III	10	ვენტრული თიაქრის მოდელი. რეკონსტრუქცია ჩვენს მიერ შემუშავებული ჰიდროგელით დაფარული დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ადამიანის ამნიონით
IV	10	ვენტრული თიაქრის მოდელი. რეკონსტრუქცია XI-S+® (Colorado Therapeutics Denver, USA) ბიოლოგიური ბადით.

ცხრილი 1. ვირთავვაზე ჩატარებული ოპერაქციული ჩარევის სახეები, საცდელი ცხოველების ჯგუფები და რაოდენობა

როგორც აღვნიშნეთ ცხრილში, პირველი ჯგუფის ცხოველებში (n=10) ვენტრული თიაქრის რეკონსტრუქცია ჩატარდა სინთეტიკური ბადის (ULTRAPRO™) საშუალებით. მეორე ჯგუფში (n=10) ვენტრული თიაქრის რეკონსტრუქცია ჩატარდა სინთეტიკური ბადის (ULTRAPRO™) საშუალებით, რომლის ზედაპირებიც ორივე მხრიდან დაფარული იყო დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ადამიანის ამნიონური მემბრანით. მესამე ჯგუფში (n=10) ვენტრული თიაქრის რეკონსტრუქცია ჩატარდა ჩვენს მიერ შემუშავებული ჰიდროგელით დაფარული


დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ადამიანის ამნიონური მემბრანით (GCDLHAM). მეოთხე ჯგუფის ცხოველებში (n=10) ვენტრული თიაქრის რეკონსტრუქცია ჩატარდა ბიოლოგიური ბადით XI-S+® (Colorado Therapeutics Denver, USA). დაკვირვების ვადა შეადგენდა 3 თვეს.

ოთხივე ჯგუფის ცხოველებში, დეფექტის შექმნიდან 3 კვირაში ჩატარდა რელაპაროტომია. კანისა, კანქვეშა ქსოვილის და გარეთა ირიბი კუნთის აპონევროზის გაკვეთის შემდეგ, ხდებოდა თიაქრის პარკის იდენტიფიკაცია, ადჰეზიოლიზი და თიაქრის პარკის გაკვეთა ლიბტენშტეინის სტანდარტული tension-free მეთოდით (სურ. 9).

ოთხივე ტიპის ბადე ყველა ჯგუფის ცხოველებში მოთავსდა ინტრა-აბდომინალურ პოზიციაში და დაფიქსირდა დეფექტის კიდეებთან 7/0 ზომის მონოფილამენტური პოლიპროპილენის ძაფების (Prolene®, Ethicon) საშუალებით (სურ. 10). კანი და კანქვეშა ქსოვილები გაიკურა 4/0 ზომის მონოფილამენტური პოლიპროპილენის ძაფების (Prolene®, Ethicon) საშუალებით.



სურათი 9. თიაქრის პარკის გაკვეთის პროცესი. სურათზე ნაჩვენებია ჰიდროგელით დაფარული ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონი.



სურათი 10. ინტრა-აბდომინალურ პოზიციაში განთავსებული ჰიდროგელით დაფარული ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონი

3.2 ვენტრული თიაქრის მოდელირება და მისი შემდგომი რეკონსტრუქცია ღორებში


ვენტრული თიაქრის მოდელირება

ცხოველებში ზოგადი ანესთეზია მიღწეული იქნა კეტამინის ინტრამუსკულური შეყვანის გზით. კეტამინის დოზირება იყო 15 მგ/კგ. ბრადიკარდიის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენებოდა ატროპინი 1 მგ ინტრამუსკულურად.

ყველა ცხოველს წინასწარ ექმნებოდა ვენტრული თიაქრის მოდელი. ამისათვის თეთრი ხაზის პროექციაში გაკეთდა 12 სმ ზომის სიგრძივი განაკვეთი. გაიკვეთა კანი და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი (სურ. 11). ამის შემდეგ, მოხდა მუცლის თეთრ ხაზის და პერიტონიუმის გაკვეთა (სურ. 12); დეფექტის შექმნის შემდეგ კი კანი და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი გაიკერა კვანძოვანი ნაკერით 3/0 (ETHICON) ატრავმული ნემსის გამოყენებით.



სურათი 11 . ლაპაროტომია. ვენტრული თიაქრის შექმნის პროცესი.



სურათი 12. მუცლის თეთრი ხაზის და პერიტონიუმის გაკვეთა


მუცლის ვენტრული დეფექტის რეკონსტრუქცია ღორებში

ცხრილი 2-ში მოცემულია ღორებზე ჩატარებული ოპერაციული ჩარევის სახეები, საცდელი ცხოველების ჯგუფები და რაოდენობა.

საცდელი ცხოველების ჯგუფები	საცდელი ცხოველების რაოდენობა	ოპერაციული ჩარევის სახეები
I	10	ვენტრული თიაქრის მოდელი. რეკონსტრუქცია ჩვენს მიერ შემუშავებული ჰიდროგელით დაფარული ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონით
II	10	ვენტრული თიაქრის მოდელი. რეკონსტრუქცია ღორის პერიკარდიუმისგან მიღებული XI-S+® (Colorado Therapeutics Denver, USA) ბიოლოგიური ბადით.


ცხრილი 2. ღორებზე ჩატარებული ოპერაციული ჩარევის სახეები, საცდელი ცხოველების ჯგუფები და რაოდენობა

პირველი ჯგუფის ცხოველებს (n=10) ვენტრული დეფექტის მოდელირებიდან 20 დღის შემდეგ ჩატარდათ რელაპაროტომია და დეფექტის რეკონსტრუქცია ჩვენს მიერ შემუშავებული ჰიდროგელით დაფარული დეცელულარიზებული ადამიანის ამნიონით (სურ. 13).




სურათი 13. რელაპარატომია და დეფექტის რეკონსტრუქცია ჩვენს მიერ შემუშავებული ჰიდროგელით დაფარული ადამიანის დეცელულარიზებული და ლიოფილიზებული ამნიონით

მეორე ჯგუფის ცხოველებს (n=10) მოდელირებიდან 20 დღის შემდეგ ჩაუტარდათ რელაპარატომია და მუცლის წინა გვერდითი კედლის რეკონსტრუქცია ღორის პერიკარდიუმისგან მიღებული ბიოლოგიური ბადით (სურ. 14, 15).



სურათი 14. რელაპარატომია და დეფექტის რეკონსტრუქციის პროცესი ღორის პერიკარდიუმისგან მიღებული ბიოლოგიური ბადის გამოყენებით.



სურათი 15. დეფექტის რეკონსტრუქცია პერიკარდიუმისგან მიღებული ბიოლოგიური ზადის გამოყენებით.

3.3 ოპერაციის შემდგომი დაკვირვება და გამოკვლევები

ოპერაციის შემდგომ პერიოდში ყველა ცხოველი იმყოფებოდა დაკვირვების ქვეშ, მათ დინამიკაში უტარდებოდათ ლაბორატორიული, ბიოქიმიური და რადიოლოგიური კვლევები. დაკვირვების მაქსიმალური ვადა ღორების შემთხვევაში შეადგენდა 12 თვეს, ხოლო ვირთაგვების შემთხვევაში 3 თვეს. მორფოლოგიური კვლევებისათვის ცხოველები გამოგვყავდა ცდიდან ოპერაციიდან მე-7, 21-ე დღეს, 1, 3, 6 და 12 თვის შემდეგ.

თავი IV

კვლევის შედეგები და განხილვა

მიუხედავად ქირურგიული დარგის წინსვლისა, რეკონსტრუქციული ტექნიკებისა და ბადეების მრავალფეროვნებისა, მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების მკურნალობის ახალი ქირურგიული მეთოდის ძიება კვლავაც არ კარგავს აქტუალობას. არსებული პლასტიკის მეთოდები კი ქირურგებს შორის კვლავაც დავის საგანს წარმოადგენს.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღესდღეისობით მთავარი პრობლემა არის ის, რომ მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტების რეკონსტრუქციისათვის მოწოდებული ოპერაციული მეთოდების გამოყენებით ბოლომდე ვერ ხერხდება პლასტიკის იმ მთავარი ამოცანების შესრულება, რაც მოიცავს მუცლის კედლის მთლიანობის სრულ აღდგენას, მუცლის ღრუში არსებული ორგანოების დაცვას, გართულებების თავიდან აცილებას და თიაქრების რეციდივის პრევენციას. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ არ არსებობს მუცლის წინა გვერდითი კედლის დეფექტებისათვის განკუთვნილი იდეალური ბიომასალები (ბადეები), რომელთაც ექნებათ უნიკალური ბიოლოგიური მახასიათებლები - ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, ანტიფიბროზული, ანტიადჰეზიური და დაბალი იმუნოგენობა.

რეგენერაციული მედიცინის და ბიოინჟინერიის სწრაფი წინსვლის შედეგად, ჩვენ გვექონდა საშუალება ჩატარებული კვლევების ფარგლებში შეგვეფასებინა მუცლის წინა გვერდითი კედლის რეკონსტრუქციაში გამოყენებული ჰიდროგელით დაფარული ადამიანის ამნიონ ქორიონის დეცელულარიზებული და ლიოფილიზირებული სამგანზომილებიანი მემბრანის ეფექტურობა. ვინაიდან ლიტერატურაში აღწერილია ამნიონის გამოყენების უამრავი შემთხვევა სხვადასხვა


დაავადებების მკურნალობის, დეფექტების და ქსოვილების აღდგენის პროცესებში. ორი ყველაზე დიდი უპირატესობა, რაც გააჩნია დეცელულარიზებული პლაცენტის მემბრანას არის ის, რომ მას აქვს უნიკალური ექსტრაუჯრედული მატრიქსი, რაც ხელს უწყობს ქსოვილთა სწრაფ შეხორცებას და რეგენერაციას. ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მისი მოპოვება სხვა ბიოლოგიურ მასალებთან შედარებით ადვილია, რადგანაც პლაცენტის უტილიზება მსოფლიოს მამტაბით არცერთ ქვეყანაში არ ხდება.

მიღებული ამნიონის კვლევის შედეგები

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ადამიანის ამნიონის დეცელულარიზაციისათვის ჩვენს მიერ გამოყენებული დეტერგენტები - ნატრიუმის დოდეცილ სულფატი (SDS) და ტრიტონ X-100 არ აზიანებენ ამნიონის უჯრედგარეთა მატრიქსს და სრულყოფილად ამორებენ ამნიონში განლაგებულ ყველა უჯრედს (სურ. 16, 17), რაც დადასტურდა ჰისტოლოგიური და სკანირებადი მიკროსკოპული კვლევებით.



სურათი 16 ა) ადამიანის ნატურული ამნიონური მემბრანა; ბ) ადამიანის ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციის შემდეგ; შეღებვა ჰემატოქსილინ ეოზინით; გადიდება X100.



სურათი 17. სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპია. ამნიონური მემბრანა დეცელულარიზაციის შემდეგ.

ჩატარებულმა კვლევებმა ასევე გვიჩვენა, რომ ამნიონური მემბრანა წარმოდგენილია ხუთი შრით: ამნიონური ეპითელიალური შრე, ბაზალური მემბრანა, კომპაქტური შრე, ფიბრობლასტების შრე და ღრუბლოვანი შრე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბაზალური მემბრანა შეიცავს III, IV, V ტიპის კოლაგენს, ფიბრონექტინს და ლამინინს. ფიბრონექტინის და I, III, V, VI ტიპის კოლაგენის ბოჭკოები ასევე განლაგებულია კომპაქტურ შრეში.

სკანირებადმა ელექტრონულმა მიკროსკოპიამ აჩვენა, რომ დეცელულარიზაციის შემდეგ ადამიანის ნატიური ამნიონური მემბრანის ბუნებრივი, სამგანზომილებიანი სტრუქტურა შენარჩუნებულია დაზიანების გარეშე.

გარდა ამისა, დნმ-ის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნატიურ ამნიონურ მემბრანაში იგი წარმოდგენილი იყო 338 მგ/მლ ოდენობით, ხოლო დეცელულარიზაციის შემდეგ

მისი შემცველობა 2% გახდა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ამნიონური მემბრანისაგან მიღებული სამგანზომილებიანი ფოროვანი სტრუქტურის მატრიქსი ხასიათდება დაბალი ანტიგენური აქტივობით, ბიოშეთავსებადობით და ბიორეზორბირებადი თვისებებით.

ამნიონის მემბრანის ჭიმვადობის ტესტის შედეგები დეცელულარიზაციამდე და დეცელულარიზაციის შემდეგ

დეცელულარიზებული და ნატიური ამნიონური მემბრანების მექანიკური თვისებები შემოწმდა ჭიმვადობის ტესტის გამოყენებით. გამოკვლევის შედეგებმა კი შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანეს:


1. მექანიკური ტესტირების მანქანა (EZ-graph, SHIMADZI Co) არის ამნიონური მემბრანის ჭიმვადობის შეფასებისათვის გამოსადეგი საშუალება.
2. ამნიონური მემბრანის ჭიმვადობის ძალა დეცელულარიზაციამდე შეადგენდა 5.80 ± 0.22 Mpa-ს
3. ამნიონური მემბრანის ჭიმვადობის ძალა დეცელულარიზაციის შემდეგ კი შეადგენდა 4.05 ± 0.59 Mpa-ს

ვინაიდან დეცელულარიზაციის შემდეგ ამნიონური მემბრანის ჭიმვადობის ძალამ იკლო, გახდა საჭირო დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანის გამაგრება ჰიდროგელის დახმარებით. განმეორებითმა ჭიმვადობის ტესტმა გვიჩვენა, რომ ჰიდროგელით დაფარული დეცელულარიზებული ამნიონური მემბრანის ჭიმვადობის ძალა გაიზარდა და გახდა 5.47 ± 0.48 Mpa (სურ. 18).

**TENSILE STRENGTH HUMAN AMNIOTIC
MEMBRANE**

Key Word	D.H.A.M	Product Name	AMNION
Test File Name	AMNION	Method File Name	Tensile Testing.xml
Report Date	02.10.2019	Test Date	02.10.2019
Test Mode		Test Type	Tensile
Speed	100mm/min	Shape	Plate
No of Batches:	1	Qty/Batch:	2

